საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

კვირა 1 აგვისტო 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ქალაქში 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი. მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესასვლელი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 172 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 172

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესასვლელი რუსთაველის პროსპ. № 18, ტელ. 11—79

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 28 ივლისს რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა

### ნინა მიხეილის ასული მაისურაძე

[illegible] (2498—1—1)

[illegible]

### ბატკო იოსების ძე ზერაგაშვილის

[illegible] (2499—1—1)

[illegible]

### ვერა სადარაის

[illegible] (2503 1—1)

[illegible]

### გივი გეგეჭკორის

[illegible] 1 აგვისტოს, დილის 12 საათზე [illegible] 2505 1—1)

[illegible]

### ვერა სადარაის

[illegible] (2509—1—1)

9 მარიამობისთვიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „სოფლის მუშა"

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

გაზეთი გამოვა ორშაბათობით

მასალები უნდა გამოეგზავნოს [illegible] „ერთობის" სახელზე—თბილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისთვის".

სარედ. კოლეგიაში შედიან: ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. ზ. ელიავა.

ქუთაისის საგუბერნიო-სამაზრეო [illegible]

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 5 ივლისს

[illegible]

(2476—3—3)

კვირას, 1 აგვისტოს

პირველ ქართულ კლუბში

იმართება

## დიდი სეირნობა-საღამო

[illegible]

საღამო გაგრძელდება დილის 4 საათამდე.

[illegible]

(6. 1—1)

## თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი

[illegible]

(2491—1—1)

## ბიუჯეტის განხილვა

[illegible]

...ძიზანია—შეარყიოს ჩვენი რესპუბლიკის სათავეში მდგომი მიმართულება, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს მას, რაც შეიძლება მეტი საბრალმდებლო მასალა წამოაყენოს მის წინააღმდეგ. „მემარცხენეთა" დაუნდობლობა ისე შორს მიდის, რომ ისინი თავის გამოცებაში ჩვენს რესპუბლიკასაც არ ინდობდენ და ცდილობდენ მისი მდგომარეობა რაც შეიძლება შავის ფერადებით დახატონ. არავითარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთავრობის გამოჯავრებით რესპუბლიკას ზიანი არ მივაყენოთო, არ აბრკოლებს „მემარცხენე" ოპოზიციას. ჩვენი რესპუბლიკის და მისი მთავრობის წინააღმდეგ იგი ამბობს ყველაფერს, **რაც უნდა და რის თქმისთვისაც მას გონებრივი ძალა შესწევს.**

რა ღირებულების—გამოდგა მისი ნათქვამი? პრინციპიულის მხრით ოპოზიციის კრიტიკას მხოლოდ მაშინ აქვს რაიმე ფასი, როდესაც იმას, რასაც კრიტიკის ქარტეხილში ატარებ, უპირდაპირებ შენს საკუთარ პროგრამას. უამისოდ კრიტიკა ყოველს ფასს ჰკარგავს და იგი ყოველს პრინციპიალობას მოკლებულია.

რა დაუპირდაპირა „მემარცხენე" ოპოზიციამ მის მიერ ასე ცხარეთ დაწუნებულს პოლიტიკას? ერთი ფრთა „მემარცხენე" ოპოზიციისა—სოც.-ევოლიუციონერთა ფრაქცია—დადებითი პოლიტიკური პროგრამის მხრით სრულიად კოტრი გამოდგა: არავითარი ამნაირი პროგრამა მას არ აბადია, იგი სხვას ეუბნება, შენი გაკეთებული არ ვარგაო, მაგრამ როდესაც მას შეეკითხები, მაშ გვაჩვენე, როგორ უნდა ვაკეთოთ, იგი ჩუმად არის, და უკეთესს გზას ვერ გვიჩვენებს და ამით ადასტურებს, რომ დღევანდელ პირობებში უკეთესია სწორედ ის გზა, რომელსაც იგი იწუნებს. სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია უბადრუკათ ქანაობს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის: საქართველოს პოლიტიკა არ მოსწონს, საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის აღიარებას ვერ ბედავს, თავის საკუთარ ხაზს ვერ პოულობს (რადგან საბჭოთა რუსეთის და საქართველოს პოლიტიკურ ხაზებს შორის არც შეიძლება იყოს საშუალო: ან ერთი უნდა აირჩიონ ან მეორე). „მემარცხენე" ოპოზიციის მეორე ფრთამ ფედერალისტების ფრაქციამ ამ გამოსვლის დროს თითქოს იპოვა პოლიტიკური გზა: ბ-ნ თედო ღლონტის მიერ ნათქვამის პრინციპიული მხარე ორ სიტყვაში შეიძლება გამოითქვას: საქართველო სწორ გზას აცდენილია, საბჭოთა რუსეთში კი ყველაფერში სწორ გზას ადგია. ამ დიდი აზრის დამტკიცებაზე იყო მიმართული მთელი სიტყვა ბ. თ. ღლონტისა. ამ მხრივ მას პირადად ჩვენ ვერაფერს ვუსაყვედურებთ (გარდა იმისა, რომ ეს „წითელი" რაინდი „ბურჟუაზიულ" დამფუძნებელ კრებაში ზის და მის „კონტრ-რევოლიუციონერ" წევრებისთვის ხარჯავს თავის ბადალ ნიჭს, ღრმა მომზადებას და უებრო მჭევრმეტყველობას). სამაგიეროთ უნდა ვუსაყვედუროთ ფედერალისტების ფრაქცი ი ას: მი

[illegible]

...ფრაქციის უმრავლესობამ კი—თავისი ყურადღება. ხარვეზები იყო ყველა წყლულები, რაც კი ჩვენი რესპუბლიკის სხეულში დაინახეს ან რაც კი წყლულად მოეჩვენათ. მაგრამ ერთი საყურადღებო მოვლენა გამოაშკარავდა: ოპოზიციამ ვერ გვიჩვენა ვერც ერთი ისეთი წყლული, რომელიც ახალი ყოფილიყოს ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის მთავარ მეთვალყურესათვის—სახელმწიფო კონტროლისათვის; ოპოზიციის მიერ ღნიშნული ჩვენი სახელმწიფოს თითქმის ყველა დეფექტები ამოკრეფილია სახ. კონტროლის ანგარიშიდან. მაგრამ ამ დეფექტების უმრავლესობა შეეხება არა წლევანდელს, არამედ **შარსულ წელს** მთავრობის წარმომადგენლების მოხსენებიდან აშკარათ დამტკიცდა, რომ ამ დეფექტების გამოსასწორებლად და სახელმწიფოს წყლულების მოსარჩენად უკანასკნელი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ყოფილა გაწეული და ბევრი ყოფილა მიხწეული.

საბიუჯეტო დებატები ჯერ კიდევ შუა ხანშია ორივე მხარე ჯერ კიდევ ბევრ რასმე იტყვის მაგრამ უკვე იქიდან, რაც ითქვა, აშკარათ ჩანს, რომ ბიუჯეტის განხილვა ძლიერ გაამაგრებს და განამტკიცებს ჩვენის რესპუბლიკის მდგომარეობას.

## უკანასკნელათ

კამათმა კომუნისტთან სრულიად არასასურველი ხასიათი მიიღო. ჩემი მოპირდაპირე გაურბის პრინციპიალურ საკითხებს და მისდევს სქოლასტიურ ჩხირკედელაობას.

კითხვა კი მარტივია. „დემოკრატია იძლევა თუ არა ასეთ ფორმებს, რომელიც გამოადგება და სასარგებლოცაა მუშათა კლასისათვის ბურჟუაზიული წყობილების გარდაქმნის დროს სოციალისტურ წყობილებათ. ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ჩვენ ვამბობთ, რომ იძლევა და სასარგებლო ფორმებსაც იძლევა.

ამასვე ამოწმებს კ. კაუცკი. მარქსი, დაბოლოს ევროპიელი ბალშევიკი როზა ლიუქსემბურგიც. ჩვენ მოვიყვანეთ ამ უკანასკნელის სიტყვები, რომლიდანაც აქ ნაწილს გავიმეორებთ: დემოკრატია საჭიროა იმისთვის, რომ ქმნის ისეთ **პოლიტიკურ ფორმებს**, როგორიც თვითმართველობა, საყოველთაო საარჩევნო უფლება და სხვ. ამგვარი.... რომელნიც სამსახურს უწევენ მას **ბურჟუაზიული წყობილების გარდაქმნის დროს**".

ეს ნიშნავს იმას, რომ დემოკრატიის პოლიტიკური ფორმები ემსახურებიან ბურჟუაზიულ საზოგადოების სოციალისტურათ გადაქმნას, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის მუშაობას, ნაყოფიერებას.

ჩვენც სწორეთ ეს ვთქვით: პოლიტიკური დემოკრატია და პროლეტარული სოციალური რეფორმების გატარება—აი რა ახასიათებს პროლეტარიატის დიქტატურას მეთქი.

დემოსიძემ, რომელიც ახალი კომუნისტის 2, 3 და 4 ნომერში ჩემი ლანძღვა გინებით აავსო, სწორეთ ამ მარქსისტულ აზრს უწოდა სისულელე. ახლა მკითხველმა თვით გასაჯოს, ვის მოსვლია „საჯაყი" საქმე.

მოქ. დემოსიძე, სამი ფელეტონის სიგრძეზე ტყავში ძვრება, რომ დაამტკიცოს—საბჭოთა სისტემა—ერთადერთი ფორმაა პროლეტარიატის დიქტატურისა.

მაგრამ ამის საბუთი ვერაფერი მოყავს, გარდა იმისა, რომ შინაარსის შეცვლასთან ფორმაც იცვლებაო. მართალია ფორმაც იცვლება, მარა საბჭოთა სისტემა არ არის ის ფორმა, რომელიც გამოადგება პროლეტარიატს. აი როზა ლიუქსემბურგი დემოკრატიის ასეთ პოლიტიკურ ფორმებათ ასახელებს ზევით: თვითმართველობას, საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომელნიც საბჭოთა სისტემაში განადგურებულია.

აი კიდევ მარქსი რას ამბობს, 1871 წლის კომუნაზე, რომელიც იყო დიქტატურა პროლეტარიატისა „კომმუნამ რესპუბლიკას საფუძვლად დაუდვა ნამდვილ დემოკრატიული დაწესებულებანი", (გვ. 50) (პარიზის კომუნა გამ. 1906 წ.) და შემდეგ: „იგი არის, დაბოლოს, მონახული **პოლიტიკური ფორმა**, რომელშიაც შეიძლება შრომის განთავისუფლების განხორციელება". (იქვე) უფრო კონკრეტიულათ კ. მარქსი ხაზს უსვამს ამ პოლიტიკურ ფორმებში: „საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რომელსაც უნდა შეეცვალა სისტემა იერარქიული დანიშვნის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კომუნის სულს და გულს (იქვე გვ. 49) და სრული თვითმართველობას, რადგან „თვით კომუნის არსებობა, ბუნებრივათ, გულისხმობს, სრულ ადგილობრივ თვითმართველობას (იქვე).

მაშასადამე ეს მარქსის მონახული პოლიტიკური ფორმა პროლეტარული დიქტატურისა ხორციელდება დემოკრატიული დაწესებულებების შემოღებით.

ხოლო ბალშევიკების პარტიული დიქტატურა კი საბჭოთა ანტიდემოკრატიული სისტემით.

ამ მხრივ, მარქსის „მონახული პოლიტიკური ფორმა" ძირითადათ ეწინააღმდეგება ბალშევიკების მონახულ ფორმას, საბჭოთა სისტემას და ტერორის რეჟიმს, რომელიც ნამდვილათ უმცირესობის ბატონობის იარაღია.

აი ამიტომ უარვყოფთ ჩვენს საბჭოთა სისტემას და დემოკრატიულ ფორმებში ვხედავთ საუკეთესო გარანტიას პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად.

**რაჟდენიძე.**

## დამფუძნებელი კრება

28 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**განგრძობა მსჯელობის 1919—1920 წ. ბიუჯეტის შესახებ.**

**ბ. თევზაია.** ბიუჯეტის საერთოდ განხილვის დროს, აქ ბევრი ილაპარაკეს ოპოზიციის ორატორებმა, მაგრამ არაფერი ისეთი არ უთქვამთ, რომლის შესახებაც შეიძლებოდეს სერიოზული კამათი. ჩვენ გვეგონა დაგვიწუნებდენ ბიუჯეტს და შემდეგ თავიანთ შემუშავებულ გეგმას წარმოადგენდენ. უბადრუკია ისეთი ოპოზიცია, რომელსაც არ შეუძლია თავისი გეგმა წარმოადგინოს და თქვენ აქ დაინახავთ რომ ოპოზიციის ორატორებმა არავითარი გეგმა არ გადაგვიშალეს ჩვენ. ხოლო ბ. თევდორე ღლონტის წყალობით აქ წამოიჭრა ისეთი კითხვები, რომელსაც ბიუჯეტთან არავითარი ახლო დამოკიდებულება არა აქვს, როგორც წინათ, როდესაც ირჩეოდა შრომის ხელშეკრულება, ისე ბიუჯეტის განხილვის დროს, მან სთქვა, საფრანგეთში შრომის პირობები უკეთესია და იქაური კანონები შრომის შესახებ გაცილებით კარგია ჩვენზედაო. ჩვენ გვეგონა დაგვისახელებდა კანონებს, მან კი მოიყვანა რეზოლიუცია ამა თუ იმ მინისტრის წინააღმდეგ მიმართული საფრანგეთის პარლამენტს ბევრი ასეთი რეზოლიუცია გამოუტანია, რომელიც თითქმის არასდროს არ ქცეულა კაიონათ. თედო ღლონტს მიზნათ ჰქონდათ დასახული ეთქვა: ის რაც ხდება აქ უარესია სხვა ქვეყნებზეო. აი მაგალითად საფრანგეთის მუშათა კანონმდებლობა უკეთესია, თუმცა ის ბურჟუაზიული სახელმწიფოაო. მე თქვენ მოგიყვანთ იმ დადგენილებას, რომელიც გამოიტანა საფრანგეთის რკინის გზელების კონგრესმა ამა წლის 26 აპრილს. ორატორი კითხულობს გაზეთ „უმანიტიდან": კონგრესი ადგენს: პირველი გამოცხადდეს ნაციონალიზაცია რკინის გზის, 2) მიღება დათხოვნილ მუშების, 3) ხელის აღება მუშების იურიდიულ სამართალში მიცემისა, 4) **ცნობა პროფესიონალურ კავშირების.** აი, როგორია იქ მდგომარეობა და რის მოპოვებასაც მოითხოვენ ჯერ კიდევ მუშები. მთელი მოწინავე დემოკრატიამ იცის, რომ საფრანგეთის მუშათა კანონმდებლობა ყველა მოწინავე ქვეყნებზედ ჩამორჩენილია. თედო ღლონტმა ეს არ იცის. შეეხო აგრეთვე საბჭოთა რუსეთს. მე მოვიყვან ჩვენთვის სრულიად უცხო პირის აზრს... ის ამბობს: „საქართველოში მიუხედავათ დიდი რევოლიუციისა სწარმოებს გაცხარებული აღმშენებლობითი მუშაობა: რომ გლეხებმა მიწა მიიღეს მუშებმა 8 საათის სამუშაო დრთ მოიპოვეს; რომ საქართველოში არსებობს სრული პოლიტიკური თავისუფლება სიტყვის, წერისა, კრების, კავშირების, პეტიციისა; გამოდის ყველა მიმართულების გაზეთობა, მათ შორის კომუნისტურიცა, თუმცა გასავალი არა აქვს; მთავრობის სათავეში არიან მხოლოდ სოციალისტები, თედო ღლონტი კითხულობს სდგილიდან ვინ ამბობს ამას? ბ. თევზაია. ამას ამბობს დღევანდელ „სახალხო საქმეში" თქვენი პარტიის წევრი ხავთასი. ის სწერს ბატონობს ნამდვილი დემოკრატია. საქართველომ შესძლო მრავალი რეფორმის მოხდენა და სხვა. ასე სწერს თქვენ გაზეთში თქვენი თანამოაზრე ხავთასი, რომელსაც რუსეთი მრავალი კუთხე შემოუვლია და გაცნობილია მათ მდგომარეობას, როდესაც აქ თედო ღლონტი ლაპარაკობდა მე მეგონა ის პარტიის აზრი გამომხატველ იყო, მაგრამ საბედნიეროთ როდესაც თედო აქ ლაპარაკობდა, იმავე დღეს მათ გაზეთში ერთი წერილი იბეჭდებოდა, რომელსაც ვფიქრობ მის პარტია ოფიციალურად იზიარებს. თედო ღლონტი შეეხო რა ბიუჯეტს განაცხადა იმ დროს, როდესაც შრომის სამინისტროზე იხარჯება მხოლოდ მილიონი მანეთი, სამხედრო რკინის გზის უწყებაზე ასობით იხარჯებაო თედო ღლონტმა კარგად იცის, რომ მაგალითად რკინის გზის ბიუჯეტში შედის აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირებიც და მიტომაც დიდი არის გასავალი.

მას თუ უნდოდა ობიექტივების გამოჩენა, ორივე უწყების ცენტრალური შტატები უნდა აეღო და ის შეედარებინა. თუ ეს არ ქნა, ამის მიზეზი არ ვიფიქროთ არის ის, რომ მას განზრახვა ჰქონდა შეცდომაში შეეყვანა მსმენელნი. თედო ღლონტმა შეაქუხა ერთი ევროპის მეცნიერი, ან უკეთ ვსთქვათ აწმამ მთელი ევროპაში ცნობილი ეკონომისტი ჰილფერდინგი თითქოს ის ამბობდეს რომ აწარმოებელთა სინდიკატები აგებენ და სახელმწიფომაც ზოგიერთ შემთხვევაში უნდა წააგოსო ჰილფერდინგს ასე არ უთქვამს. მან სთქვა ერთ დარგში, რომ აგებენ ამით სურთ მოიგონ მცირე დარგში. ეს არის სპეკულიანტური მეთოდი და ბატონი ღლონტიც სიტყვით სპეკულიაციის წინააღმდეგ მეომლი ოაიხდი, საქმით ურჩევს სახელმწიფოს დაადგენს სპეკულიანტების გზას. ერთ დარგში წააგოს და ამის საშვალებით მეორეში სპეკულიანტიურათ მოიგოს და თუ ზარალი ექნება გადასახადი დაადვას ხალხს. ასეთი არის ბატონებო თედო ღლონტის ფინანსიური ფილოსოფია. აქვე უნდა შევნიშნოთ ბ. ლეო შენგელაიას, რომელმაც მოიყვან რა ადამ სმიტის დებულება, რომ სახელმწიფო ცუდი მეურნეა და ეს აზრი მან მოძველებულათ გამოაცხადა. ეს მოძველებული აზრი ნაწილობრივათ დღესაც მართალი არის. სახელმწიფო რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციაა და მისი ორგანოებიც ამ უმთავრესს საქმეს ემსახურებიან ცუდი მეურნეც არის, ვიდრე იგი არ მოაწყობს სპეციალურ ეკონომიურ ორგანიზაციებს, რომლებიც გაუძღვებიან მეურნეობის საქმეს. ჩვენი ფრაქცია გამოსთქვამს სურვილს, რომ ასეთი ორგანოები ამ მოკლე ხანში შექმნილ იქნას. აქ შეეხნენ არაპირდაპირ გადასახადების საკითხს. არაპირდაპირ გადასახადს შეებრძოლა, როგორც შენგელაია ისე თ. ღლონტი მაგრამ ისინი, სრულიად ვერ აიჩევდნენ რომ მათი დებულებებიდან გამომდინარეობდა მისი დაცვა ვინც გვირჩევს აილეთ ამ გარდამავალ ხანაში წარმოება ხელში და მისი მოგებით იცხოვრეთო უნდა იცოდნენ, რომ მოგება იქნება საქონელზე დაწესებული ის ზედმეტი ფასი რომელიც ეკონომიური და ფინანსიური საფუძველია არაპირდაპირი გადასახადის. ამ ნაირათ თეორეტიულათ ოპოზიცია ყალბ ნიადაგზე სდგას. ახლა ვიკითხოთ რეალურად, თუ რაზედ არის დაწესებული არაპირდაპირი გადასახადი. იგი არ არის პურზე, ყველზე კართოფილზე და სხვა სანოვაგეზედ. უმთავრესად ის შეეხება არა პირველ საჭიროების საგნებზე რასაც მხარს უჭერდნენ ყველა ფრაქციები დამფუძნებელ კრებაში და განსაკუთრებით თავიანთ გაზეთებში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სხვადასხვა საზოგადოებას, წყობილებაში გადასახადებიც, რომლითაც ინახება სახელმწიფოს ორგანოები, სხვადასხვა პრინციპებზედ არის აგებული. ფეოდალური სახელმწიფო თავის მოხელეებს უმთავრესად აჯილდოვებდა მიწებით და ეს იყო გასამრჯელო მათი შრომის. ბურჟუაზიული სახელმწიფომ შეიმუშავა გადასახადების სისტემა. ხალხიდან აკრეფილ ფულით ის ინახავს თავის დაწესებულებებს. სოციალისტური სახელმწიფო თავს შეინახავს წარმოებიდან შე-

# დღეს

გერმანული ცნობით, პოლონეთის ჯარის უკან დახევას პანიკური ხასიათი აქვს. ვარშავაში საალყო წესები გამოცხადდა. ბერლინში მიღებული ცნობით რუსებს ვარშავის აღების სურვილი ჰქონიათ, მიუხედავათ დროებითი ზავისა.

რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ ინგლისში დაინიშნა კამენევი, მის მოადგილეთ კრასინი. დელეგაცია უკვე გაემგზავრა ლონდონს.

ვენიზელოსის გადმოცემით საერთო თის პონტი ოსმალეთის საზღვრებში იარსებებს, როგორც ავტონომიური ერთეული. სომხეთს კომერციულ გასავალს მისცემენ ტრაპიზონშიო.

საბერძნეთის მისიის ცნობით მცირე აზიის ფრონტზე საომარი მოქმედებები შეჩერებულია.

მოსულ თანხით, რომელიც მშრომელთა განკარგულებაში იქნება. ამ გარდამავალ ხანაში ისახება ეს ახალი ფორმა სახელმწიფოს შემოსავლის. საზოგადოებრივი მეურნეობიდან შემოსულ თანხებს შესაფერი ადგილი უნდა მიეცეს ჩვენს ბიუჯეტში. აქეთ უნდა იყოს მიქცეული ჩვენი რესპუბლიკის ყურადღება. თუ ეს ასეა, ჩვენ მიუთითებთ ერთ შემოსავლის წყაროზედ. ეს არის დაზღვევის—პიროვნების და საქონლის სახელმწიფოს მიერ მოწყობა—ასეთი სურვილი გამოთქვა ფინანსიურმა კომისიამ ჩვენი ამხანაგების წინადადებით. რომ სახელმწიფომ ეს შეძლებისამებრ უნდა განახორციელოს, რაც დიდ შემოსავალს მისცემს ჩვენ ქვეყანას, მაგრამ თუ ჩვენ ვადგებით საზოგადოებრივ წარმოების განვითარების გზაზედ, მაშინ ბატონ ლ. შენგელაიას მიერ წამოყენებულ დებულება კრედიტის სპეციალიზაციის შესახებ მიუღებელი არის. რადგანაც მოთხოვნა კრედიტის სპეციალიზაციის მისი სერიოზული მნიშვნელობით და ამავე დროს მოთხოვნა წარმოების განსაზოგადოებრივობის, გაფართოვების შეუძლებელია. ისეთ სათუთ საქმეში, როგორიცა არის წარმოება სპეციფიკაცია შეუძლებელია. სპეციფიკაცია კრედიტის გამოიწვევს ყოველ წუთს ამა თუ იმ თანხისათვის კანონმდებლობითი ორგანოში რბენას და ეს კი საქმეს შეაფერხებს. მთავრობას უფლება უნდა ჰქონდეს ერთი პარაგრაფში აღნიშნული ფული, მეორეს მოახმაროს საჭიროებისამებრ. ჩვენს ბიუჯეტს აქვს ნაკლი, ეს არის ის, რომ არ გვაქვს შემოღებული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე ისე, როგორც ეს ესმის მოწინავე დემოკრატიას ჩვენის ფრაქციის აზრით ეს უნდა შემოღებულ იქნას ახლო მომავალში. ჩვენ კარგათ ვიცით თუ რა ძნელი საქმე არის ეს. ვერც ერთი სერიოზული მოღვაწე, რომელიც თავის თავს პატივს სცემს ვერ იტყვის, რომ შესაძლებელ იყო ამ ორი წლის განმავლობაში შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გადასახადის შემოღება. მაგრამ დღევანდელ პირობებში ის არის შესაძლებელი. ეს გადასახადი არის იარაღი სოციალურ გარდაქმნის, რომელიც გაადვილებს მას. ასეთი გადასახადი შეძლებას აძლევდა ევროპის ქვეყნებს თავი დაეხწია გაჭირვებულ მდგომარეობისათვის. მეორე მხრივ სახელმწიფომ უნდა იცოდეს თავის ქვეყნის სიმდიდრე და ასეთი სისტემის შემოღება ერთად-ერთი საშუალებაა ამისთვის იმედია მთავრობა გაატარებს ამას. ამავე დროს ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ არსებული მემკვიდრეობითი კანონი მოძველებულია. საჭიროა მისი ისე გარდაქმნა, რომ მემკვიდრეობა ახლო ნათესავებს რჩებოდეთ მხოლოდ, შორეულ ნათესაობას უნდა ჩამოერთვათ უფლება მიიღონ მემკვიდრეობა და ეს უფლება სახელმწიფოს უნდა გადაეცეს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობის გამაგრებას.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ოპოზიციას. გვისაყვედურებდენ რომ კანტროლიორი არ ყავს რესპუბლიკასო. სახელმწიფო კანტროლი უმოქმედობას იჩენს და სხვა. ამას შემდეგ კი მოყავთ კანტროლის მოხსენება და იძახიან მან არაფერი დამალა და აი ნახეთ რას ამბობს უწყებების შესახებო. ეს არის თქვენი მიუდგომლობა? ეს არის სერიოზული კრიტიკა? არა, ბატონებო. აქ ბევრჯერ გაუმეორებიათ, რომ ვერ მოახერხა მართველმა პარტიამ ბიუჯეტის შედგენა. დიდი რევოლიუციის დროს იქნა მიღებული ბიუჯეტი, რომელიც შეიცავდა სამ წინადადებას. ამდენი და ამდენი ფული გადაიდოს ომისათვისო მდგომარეობა იყო ისეთი, რომ საფრანგეთის ხალხის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ბიუჯეტის შედგენა. მიუხედავათ იმისა, რომ მათ ცოდნაც ჰქონდათ და უნარიც, რასაკვირველია მეტი, ვიდრე ჩვენს ოპოზიციას. აქ ისიც სთქვეს, ეს რა ბიუჯეტი არის? ეს ციფრების გროვა არისო, დიახ, ბიუჯეტი არის კანონათ ჩამოყალიბებული სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი, ბატონებო ნუ თუ არ იცით, რომ ციფრებშია, აქ სიტყვების მაგიერ საქმე. ციფრები ლაპარაკობს, მას წაკითხვა უნდა და ვისაც ეს არ შეუძლიან, მისი კრიტიკა, რასაკვირველია უსაფუძვლო და ხიადაგ მოკლებული იქნება. (ტაში).

ი. ხალვაშია. როდესაც ოპოზიცია გამოვიდა ბიუჯეტის კრიტიკით, მას უნდა ეჩვენებინა ის ახალი გზები, რომლითაც სურთ სიარული. მათ აქ ილაპარაკეს ჩვენი ბიუჯეტის უვარგისობაზე, მაშინ უნდა ეჩვენებინათ, თუ რა უნდა იქნას წარმოდგენილი მომავალი წლისათვის. შენგელაიამ სთქვა ეს ბიუჯეტი ძლიერ დაგვიანებულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ობიექტიურ პირობებს და მხედველობაში მივიღებთ სხვა სახელმწიფოთა მაგალითებს, რომელთაც მრავალი წლის ისტორია აქვთ, მაგრამ მაინც აგვიანდებათ ბიუჯეტი, მაშინ ადვილათ ავხსნით ჩვენი ბიუჯეტის დაგვიანებას. შენგელაიამ განაცხადა ხალხი არ ცხოვრობს თავყრობას, გადასახადებს არ გადაიხდისო ამის გასამართლებლათ მოიყვანა ცნობებს იმ შემოსავლისას, რომელიც შემოდის გადასახადებისაგან

გასულ წელს ივნისში შემოვიდა 12 მილიონი, ივლისში 18 მილ., აგვისტოში 16 მილ., სექტემბერში 23 მილ., ნოემბერში 30 მილ., დეკემბერში 45 მილ. და შემდეგ უფრო იმატა შემოსავალმა.

შემდეგ ორატორი ეხება რა ეკონომიურ ბალანსს, აღნიშნავს, რომ შემოტანილი საქონელი მეტი ყოფილა, ვიდრე გატანილი. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ, პირველ ყოვლისა საჭიროა გამოსწორდეს ტრანსპორტის საქმე. იმ ქვეყნებს, სადაც ტრანსპორტი ჰქონდათ კარგად დაყენებული მაგალითად ინგლისს, გერმანიას, უფრო ადვილათ უძლებდენ ეკონომიურ კრიზისებს. მაშასადამე, უნდა შეძენილ იქნას გემები, რაც ჩვენს ფინანსიურ - ეკონომიურ მდგომარეობას მტკიცე ნიადაგზე დააყენებს. ჩვენი ბალანსი არის დეფიციტიანი, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ შემოგვაქვს აქ ის საქონელი, რაც ესაჭიროება ჩვენ სახელმწიფოს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქონელი ჩვენში უცხოელებს შემოქონდათ. ჩვენ რომ თვით შემოგვეტანა და საზღვარ-გარეთ აქედან საქონელი ჩვენვე გაგვეტანა, ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის. შემდეგ ორატორი ჩამოსთვლის იმ საშუალებებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. ტონაჟის გაუმჯობესობა, უშუამავლოდ საქონლის გაზიდვა საზღვარ გარეთ და სამაგიეროთ საქონლის შეძენა. გაუმჯობესებულ უნდა იქნას თამბაქოს მონოპოლიის საქმე. უნდა ვიცოდეთ სად რომელ ბაზარზე რა ღირსების საქონელი არის საჭირო. რაც შეეხება შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესებას, ეს მეტად ძნელი საქმე არის, ამას დიდი მუშაობა ესაჭიროება. ორატორი ეკამათება რა თ. ღლონტს, რომელიც საბჭოთა რუსეთის მაგალითებზე მიუთითებდა, ამბობს, რომ ინგლისის და გერმანიის უკიდურესი სოციალისტებიც კი იმ აზრს ადგანან, რომ სოციალიზაციის გატარებას ერთ რომელიმე დარგშიაც კი წლეები სჭირდება. დღესვე შეიძლება გამოიცეს დეკრეტი, რის განხორციელებაც შეუძლებელი იქნება და ქაღალდზე დარჩება. ჩვენ თანდათანობით ვანხორციელებთ წარმოების განსაზოგადოებრივებას, უნდა იცოდეთ, თუ რა ძნელი არის, თუ გინდ თამბაქოს მონოპოლიის განხორციელება. საბჭოთა რუსეთი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს ამ მხრივ თუ ჩვენ მივმართავთ ბალშევიკების ბელადებს, ეს ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს, ისე გაანადგურებს ჩვენს ქვეყანას, რომ შეიძლება ფეხზე ვერასოდეს ვერ წამოვდგეთ. სიტყვის დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ უწყებებში შტატები იქნება შემცირებული, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ბიუჯეტის გაუმჯობესებას არის მთელი რიგი ნაბიჯებისა გადადგმული, რაც იმედს გვაძლევს, რომ მომავალ წელში ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობებში ვიქნებით.

## საბჭოთა რუსეთში
(გაზეთებიდან)

**„აბლავა" დეზერტირებზე.** 3—4 ივლისს **ხკმო** დეზერტირების წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ ადმინისტრაციის სხვადასხვა ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით ქალაქ როსტოვში და ნახიჩევანში მოაწყო „აბლავა" დეზერტირებზე. კომისიის მიზანი იყო აგრეთვე სხვადასხვა გადამალული სახელმწიფო ნივთების, იარაღის და მასალების აღმოჩენა. **შეპყრობილ იქნა 5000-დე კაცი,** რომელნიც აღმოჩნდენ ან სრულიად პირადობის საბუთებს მოკლებულნი, ან ჰქონდათ საეჭვო ხასიათისა. საბუთების განხილვის შემდეგ შეპყრობილთა ნაწილი განთავისუფლებულ იქნა, ნაწილი გადაეცა ვოენკომატს და სამხედრო დაწესებულებებს, ნაწილი კი 1000-მდე კაცი გადაეცა როსტოვის კომდეზერტირს, რომელმაც გადარჩევის შემდეგ დატოვა 500-დე კაცი, როგორც დეზერტირები. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა დიდძალი სახაზინო იარაღი. ამას გარდა, სპეკულიანტებს შემთხვევით აღმოუჩინეს ყოველგვარი საქონელი—მედიკამენტები, საქირურგიო ინსტრუმენტები, მანქანების ნაწილები და სხვა.—სულ რამდენიმე მილიონად ღირებული. მთელი ჩამორთმეული ქონება გადაეცა სამხედრო ნაწილის მომარაგების განყოფილებას, დონჩეკას და სხვა დაწესებულებებს. („სოვ. დონ" № 123)

**ჰურჭლეულობა წითელარმიელებისათვის.** ვოზნესენსკი, 11 ივლისი. მოხდა ზედმეტი ჰურჭლეულობის ჩამორთმევა წითელი არმიელებისათვის. ჰურჭლეულობის შეგროვება კარგათ ჩატარდა. („სოვეტ. კავკ." № 67).

**ლტოლვილთა გაძევება.** პიატიგორსკში არსებულ სომხების, ბერძნების და აისორების კომიტეტებს წინადადება მიეცათ ათი დღის განმავლობაში გაგზავნონ ამიერ-კავკასიაში თავიანთი ლტოლვილები. არც ერთი ლტოლვილი არ უნდა იქნას დატოვებული. მიღებულია ზომები ახალი ლტოლვილების არ შემოსაშვებათ. („სოვ. კავკ." № 67—16 ივლისი.)

**მადლობა ორჯონიკიძეს ოქროს საათისათვის.** ქალაქ სტავროპოლის გარნიზონის დათვალიერების შემდეგ, გარნიზონის უფროსის ბატულინისთვის რევკომისოვეტის და კავფრონტის თავმჯდომარეს ორჯონიკიძეს უჩუქებია ოქროს საათი. „ვლასტ სოვეტოვ"-ში უცხადებს რა მადლობას ამის გამო გარნიზონს, მისი უფროსი სწერს: „დიდი ხანი არ არის, რაც ქალაქის გარნიზონი და აგრეთვე მთელი გუბერნია წარმოადგენდა თითქმის შეუიარაღებელ ბრბოს, რომელთაც არ გაეგებოდათ რაიმე არც ორგანიზაციისა და არც თავიანთი არსებობისა. ახლა კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტავროპოლის მაზრებს მოეპოვება მრისხანე სამხედრო ძალა, გამსჭვალული ერთი აზრით, ერთი მისწრაფებებით ბრძოლისა და შრომის ფრონტის გასამაგრებლათ". („ვლასტ სოვეტოვ" № 105)

**კაცობრიობის ახალი ღმერთია ლენინი თუ ბალშევიკების „მძიმე არტილერია" მენშევიკების წინააღმდეგ.** სტავროპოლის „ვლასტ სოვეტოვ"-ში საბჭოთა არჩევნების გამო მოყვანილია ლაზარეთებში გამართული მიტინგების მოკლე ანგარიში, სადაც, სხვათა შორის, ასეთი ადგილებია: „სამი წლის წინად კაცობრიობის ახალმა ღმერთმა, პროლეტარიატის გენიალურმა ბელადმა ამხ. ლენინმა აღმოაჩინა სოციალიზმის სამეფოში შესავლელი გზები... ავადმყოფთა და წითელ არმიელთა სულიერი განწყობილება კომუნისტურია მენშევიკებს არავითარი გასავალი არ აქვთ". („ვლ. სოვ." № 106).

რუსული თქმულებაა—კვამლი უცეცხლოთ არ გაჩნდებაო. მენშევიკებს რომ არავითარი გასავალი არ ჰქონდეთ, დარწმუნებული ვართ, მათ წინააღმდეგ ლენინის სახით „მძიმე არტილერიის" გამოყვანა არ დასჭირდებოდათ კომუნისტებს და რაც უმთავრესია, არ დასჭირდებოდათ ლენინის მონათვლა „კაცობრიობის ახალ ღმერთად".

**ახალი ტარიფი.** პროფეს. კავშირების საბჭოს კომიტეტის სხდომაზე 14 ივლისს ჩრდილო კავკასიაში ახალ ტარიფის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ვ. ც. ს. პ. ს. კავბიროს წარმომადგენელმა, ამხ. რეზნიკოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ახალი ტარიფის დაწესებულის იმ მიზნით, რომ მუშებს მიეცეს რეალური ხელფასი. ამასთანავე მუშებს უნდა მიაწოდონ სურსათ-სანოვაგე, პირველი საჭიროების საგნები და რომ ფულები—თავისთავად არ გააუმჯობესებენ მუშების მდგომარეობას, საჭიროა მოსკოვის და პეტერბურგის მუშებივით, აქ თითონ მუშებმა დაიწყონ თავის თავის, ოჯახების გამოკვება და ამით ძირს დასცენ სპეკულიანტების ეკონომიური სიძლიერე. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ახალ ტარიფების დეტალებს და განაცხადა, რომ მუშების ხელფასის რაოდენობა მიქცეულია პირველ 12 კატეგორიაში. ჩვენ ეხლა დამოკიდებულნი ვართ სპეციალისტებისაგან, რადგანაც მუშებს თუმცა ნიჭი აქვთ, მაგრამ ცოდნა არ მოეპოვებათ. ეს არის მიზეზი იმის, რომ სპეციალისტებს ენიშნებათ უფრო მეტი ჯამაგირი. პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლების განვითარებასთან ერთად, რომელიც ეხლა უკვე კარგ ნიადაგზე სდგება, ეს განსხვავებაც მოისპობა. ბოლოს ამხ. რეზნიკოვმა ვრცლათ დაახასიათა ეხლა დაწესებული პრემიალური და ნაჭრობითი სისტემა შრომის შეფასებისა, და აღნიშნა, რომ ამ გზით მუშებს შეუძლიანთ მიიღონ ხელფასი პროცენტები მეტი ნორმაზეო. („სოვეტსკი კავკაზ", № 67).

### ერთი პატარა სურათი.
(სამოქალაქო ომის დღიურიდან).

ამ დაუსრულებელი სამოქალაქო ომის დროს უკრაინის ტერიტორიის ხელიდან ხელში გადასვლა, განსაკუთრებით ქალაქ კიევისა, მოხდა დაახლოვებით ჩვიდმეტჯერ, რამაც ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა.

უკანასკნელად, მაისის პირველ რიცხვებში პოლონელების და უკრაინელების ჯარის ქალაქში შემოსვლას და საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებას მოქალაქენი მოუთმენლად ელოდნენ. ნატვრა მართლაც აუსრულდათ!

5 მაისს პოლონეთის ჯარი შემოდის ქალაქში, რომელსაც ალტაცებით ხვდება ხალხი.

აქამდის დაძინებულმა ქალაქმა გაიღვიძა: დაწესებულებები აღადგინეს.

პროფესორებმაც და სტუდენტობამ თავი მოიყარა და ჩვეულებრივ მეცადინეობას შეუდგენ.

თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადებით სამი დღის განმავლობაში ქალაქი საქონლით აივსო, სიბნელეს მხოლოდ სხვადასხვა ფულის ტრიალი წარმოადგენდა.

ორი კვირის შემდეგ სვიმონ პეტლიურაც ეწვია კიევს, რომელსაც დიდის ალტაცებით და პურ-მარილით, შეხვდენ ქალაქის ყველა მცხოვრებნი განურჩევლად მდგომარეობისა...

სამი კვირის განმავლობაში ქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მოქალაქენი თავს თავისუფლადა გრძნობდნენ: არ ეშინოდათ არც დაპატიმრების,—არც „ჩერეზვიჩაიკაში" წაყვანის და იქ საქმის გამოუძიებლათ დახვრეტის. არ ეშინოდა ქონების წართმევის, ასე წარმოიდგინეთ, სასეირნოთაც კი თავისუფლად გამოდიოდნენ კარგათ ჩაცმულ-დახურულნი... მაგრამ ამ ბედნიერებამ გასტანა მხოლოდ ერთი თვე.

უკრაინის მთავრობამ ვერ შესძლო საკუთარი ჯარის შექმნა...

მიაწვენ კიევს ბალშევიკები და პოლონელებიც აიბარგნენ. მათ ჯარში მომხდარი განხეთქილების გამო პოლონელებმა კიევი უბრძოლველათ დასტოვეს.

7 ივლისს ააფეთქეს საუკეთესო ხიდები. სხვა ზიანი ქალაქისთვის მათ არ მიუყენებიათ. ბალშევიკების გაზეთები კი სწერდენ: პოლონელებმა ააფეთქეს „ვლადიმერის სობორო", ელექტრონის სადგური, წყალსადენი. და ერთი სიტყვით, სრულიად აახრეს კიევიო.

ამის მგზავსი არაფერი მომხდარა.

შემოვიდნენ ქალაქში ბალშევიკები და თან მოიტანეს სიძვირეც.

გლეხებს ქალაქში სურსათი აღარ შემოაქვთ—ეშინიათ წაგვართმევენო; მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ მისცა მათ თავისუფალი ვაჭრობის ნება.

ფასები ასეთი იყო.

| | პოლონელების დროს; | ბალშევიკების დროს: |
|---|---|---|
| პური გირვანქა | 100 მ. | 600 მ. |
| ხორცი „ | 120 „ | 1200 „ |
| მარილი „ | 200 „ | 2500 „ |
| ქონი „ | 300 „ | 4000 „ |
| ერბო „ | 350 „ | 5000 „ |
| სარეცხი საპონი | 40 „ | 2000 „ |
| შაქრ. ფხვნილი | 80 „ | 1000 „ |
| „ რაფ. | 100 „ | 1400 „ |
| ზეთი საჭმელი | 80 „ | 2000 „ |
| 1 კოლ. სპიჩკა | 5 „ | 150 „ |
| 1 ცალ. კვერცხ. | 10 „ | 120 „ |
| 1 ქილა რძე | 10 „ | 150 „ |

სიძვირემ და შიმშილმა ხალხი წელში მოღუნა...

ქალაქი უმეტეს ნაწილად სოფლად გაიხიზნა პურისთვის. თუ ვისმე რაიმე მოეპოვებოდა მიჰქონდა პურში გადასაცვლელათ და შემდეგ პურს ზურგით მიეზიდებოდა ქალაქში.

საუკეთესო ძალებმაც დასტოვეს კიევის უმაღლესი სასწავლებლები და გაიფანტნენ ვინ იცის სად... დარჩენილებში კი ბევრი იძულებული გახდა ვაჭრობისათვის მიეყო ხელი. მაგალითად პროფეს. ნ. გრავე ვაჭრობს. მეცნიერებას თავი გაანება. პროფ. ბუკრაევი სახლში პურს აცხობს და ჰყიდის...

ასეთი მდგომარეობა იყო კიევში მე რომ წამოვედი და რა იქნება მომავალში, განა შეუძლია ვინმეს აწინასწარმეტყველოს?

პეტრე ლანდია.

### „წითელ" აზერბეიჯანში
(ჩამოსულის ნაამბობი).

სულიერი განწყობილება ბაქოში და მთელს აზერბეიჯანში როგორც მუშებში, ისე საერთოდ გლეხებში კომუნისტების საწინააღმდეგოა.

იშვიათად შეხვდებით ისეთ პირს, რომ კომუნისტების მუშაობით კმაყოფილი იყოს. უკმაყოფილება ფარული, უკმაყოფილება აშკარა,—აი როგორ შეიძლება საერთოდ იქაური მდგომარეობის დახასიათება!..

სურსათ-სანოვაგე ქალაქში თითქმის არ მოიპოვება. სოფლებიდან არაფერი შემოაქვთ. თვით რუსეთში აბა, რა აქვთ, რომ ბაქოს გაუნაწილონ. პირიქით, ყველაფერი გაზიდეს ბაქოდან ზოგი „საჩუქრის", ზოგი სხვა სახით.

წინად სხვადასხვა საქონლით სავსე მაღაზიები ამ ჟამად დაცარიელებულია იქ დაინახავთ მხოლოდ წითელ არმიელთა ქუდების „ზნაჩოკებს".

მუშებს ეძლევა სულზე ნახევარი გირვანქა ყოვლად უვარგისი პური. ასეთი რაციონი ეძლევა მშრომელთ, არა მშრომელთ არაფერი. ბაზარზე კი პურის ფასი 200 მ. გასცილდა, შაქარი სრულიად არ იშოვება, არც ხორცი და არც სხ.

წესრიგი ქალაქში ნამდვილი სასაფლაოსებურია. ქალაქი გავსილია ჯაშუშებით. ენერგიულად მუშაობს „ჩრეზვიჩაიკა". იჭერენ მოქალაქეებს, მიჰყავთ „ჩრეზვიჩაიკაში",—იქიდან საიდგაც გადაჰყავთ და ასე, მშობლებს, ნათესავებს დაპატიმრებულთა კვალიც ეკარგებათ...

მიუხედავათ ამისა, აშკარა უკმაყოფილებას მაინც აქვს ადგილი. ამ ორი კვირის წინად მაგ. მუშათა დიდ კრებაზე ლაპარაკის ნება არ მისცეს ცნობილ კომუნისტს ვიქტორ ნანეიშვილს. გვეყო ეს გაცვეთილი ფრაზები, თქვენ საქმე გვაჩვენეთ, რომ ჩვენ დაბეჩავებულ მდგომარეობას რაიმე ეშველოსო,—ასე შესძახეს მუშებმა.

ყველა იმის ცდაშია, რომ როგორმე ბაქოდან გავიდეს, გაშორდეს ამ უბედურებას, მაგრამ არც ისე ადვილი საქმეა გასავლის ნებართვის მიღება.

მიუხედავათ ამისა ქალაქი თანდათან ცალიერდება: მიდის მუსულმანობა, რა თქმა უნდა, ახლო-მახლო რაიონების მცხოვრებნი, მიდიან სპარსელი მუშები, რაც ახლო ხანში, უეჭველია, დიდ დაბრკოლებას შექმნის ნავთის წარმოების საქმეში.

სამაგიეროდ მრავლად მოჰყავთ რუსეთიდან წითელიარმიელები; ამიტომ ქალაქის ერთი შეხედვით მცხოვრებთა რიცხვი თითქოს არ აკლდება, მაგრამ ნამდვილი სამხედრო ელფერი აზის.

როცა შემთხვევით ნახავენ თფილისში მომავალს, შეჰნატრის მის ბედს ყველა განურჩევლად ეროვნებისა და მდგომარეობისა. ალბათ ამით აიხსნება, რომ ახლა ბაქოში აუარებელი საქართველოს „მოქალაქენი" გაჩნდნენ: ზოგი დაბადებული აღმოჩნდა თფილისში, ზოგს სახლი აღმოაჩნდა, დედ-მამა, ნათესავობა და სხ. მაგრამ „ჩრეზვიჩაიკა" თავისუფლად წამოსვლის ნებას აძლევს მხოლოდ ქართველებს...

## დეპეშები
(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 ივლისი.

**გერმანული ცნობები.**

**პოლონეთი და რუსეთი.**

„ბერლინ ტაგებ." ვენის კორესპონდენტი იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობის ყოფილმა ვაჭრობა-მრეწველობის კომისარმა ბრინსკიმ გადასცა თავის რწმუნების ბარათი პრეზიდენტ ზეიტსს. ბრინსკი, შეეხო რა მომავალ მოლაპარაკებას ზავის შესახებ, იმედი გამოსთქვა უკეთესი მომავლისა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პოლონეთი არ უნდა მოელოდეს საბჭოთა მთავრობისაგან იმაზე მეტს, რასაც იგი მიიღებდა რუსეთის სხვა რომელიმე მთავრობისაგან. რასაკვირველია, მოლაპარაკებას საფუძვლად დაედება რუსი და პოლონელი ხალხის ინტერესები. ბრინსკიმ განაგრძო: „ჩვენ არ გვაქვს არავითარი განზრახვა ბრესტლიტოვსკში მომხდარი რუსეთის მშრომელი მასისადმი დაცინვა განვიმეოროთ. საზიზღარი ცილის წამებაა, თითქმის ჩვენ გვსურდეს გავაფართოვოთ ჩვენი საზღვრები გერმანიამდის. მაგრამ უმთავრესი და მასთან პირველი ჩვენი მოთხოვნილება იქნება უშუალო და პირდაპირი ეკონომიური კავშირის დაჭერა გერმანიასთან. ჩვენ სავსებით ბოლო უნდა მოუღოთ საფრანგეთ-პოლონეთის იმპერიალისტურ მიზნებს, რომ გერმანია და რუსეთი ეკონომიურათ გაეცალკევებიათ. ეკონომიური ურთიერთობის კონსტიტუცია ერთგვარათ აინტერესებს როგორც რუსეთ-გერმანიის ხალხს, აგრეთვე პოლონეთსაც. ამიტომ ამ საკითხში დანციგის როლის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენ მოლაპარაკებას საფუძვლად შრომის ინტერესი დაედება, მაშინ რუსეთ-პოლონეთს უეჭველი გარანტია ექნება ზავის შეკვრისა. შემდეგ მან განაცხადა: ვინც ფიქრობდა ევროპის კეთილდღეობაზე ისიც კი დარწმუნდა, რომ საერთაშორისო ეკონომიური ცხოვრების აღდგენა შეუძლებელია რუსეთის საწარმოვო ძალთა კეთილდღეობის გარეშე ჩვენ არავითარ ილიუზიებს არ ვქმნით. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მომავალ პოლიტიკისა და მათი საბჭოთა მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ჩვენ ვიცით ის, რასაც ჩვენ უნდა მოველოდეთ ლონდონისა და პარიზის მთავრობათაგან. და ჩვენი სახელმწიფო, საბჭოთა რუსეთი, დღესდღეობით გაცილებით უფრო ძლიერია, ვინემ ოდესმე. ცხადია რუსეთისთვის აუცილებელია სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ეკონომიური ურთიერთობის დაჭერა, მაგრამ ეს ქვეყნებიც დაინტერესებულნი არიან აგრეთვე რუსეთით. და დაინტერესებულნი არიან იმდენათ, რომ ჩვენ განადგურებაზე იმედ დამყარებულმა სპეკულიანტებმა ამ პოლიტიკის საშინელი გავლენა თვით განიცადეს.

**გერმანიის რკინის გზებზე.**

ვიდაიდან ტერმინი „ნეიტრალური" სრულებით სხვაფერათ იქნა განმარტებული შეერთებული შტატების მიერ, გერმანიამ აკრძალა არა თუ მიყიდვა იარაღისა, ან სხვა საომარ მასალისა, რომელიმე მეომარ სახელმწიფოსათვის, არამედ აკრძალა იარაღის თავის ტერიტორიაზე გატანაც კი და რომ ამ აკრძალვისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცათ, რკინის გზელთა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელშიაც შედიან რკინის გზაზე მოსამსახურეთა ყველა დარგის მუშა-მოხელეთა წარმომადგენლებმა 72 ხმით, 80 ხმიდან დაადგინეს: არ გაატარონ რკინისა ან სხვა რაიმე გზით გერმანიის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა ჯარისკაცები და სამარი მასალა.

**პოლონეთის ფრონტზე.**

(დასაწყისი არ მივვიღია) გადმოგვცემენ პოლონეთის ფრონტის სრულიად განადგურების შესახებ. ქვეითა ჯარი გარბის, ყუბანის ყაზახები მათ მისდევენ. გაქცევამ პანიკური ხასიათი მიიღო. მიჰყავთ მრავალი ტყვეები. ვარშავაში გამოცხადდა საალყო წესები დარჩენილ ნაწილებს გზავნიან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, რომ ამგვარათ შეინარჩუნონ ძველი ფორტები. მით ასულდგმულებთ უკანასკნელი იმედი, რომ ამით ისინი სამშობლოს დაიცავენ. ბერლინში ხმებია, რომ რუსებს ვარშავის აღების სურვილი აქვთ, მიუხედავათ დროებითს ზავისა.

რუსეთის ჯარი პრუსიის საზღვრის გასწვრივ სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიდის. რუსებისთვის ვარშავისაკენ ყველა გზა გახსნილია. რუსები სწრაფათ წინ მიიწევენ. მთელი პოლონეთში პანიკაა. ჯარისკაცები სტოვებენ ყოველივეს და მინდვრებით გერმანიის საზღვრებისაკენ და ვარშავისაკენ გარბიან.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

31 ივლისი.

**პარიზი.** ივლ. 10. ფინანსთა მინისტრის ინიციატივით შესდგა „რუსეთის ვალების სალიკვიდაციო" კომისია. ამ კომისიაში შედიან საგ. საქმეთა, სამხედრო, ფინანსთა, საზღვაო და აგრეთვე სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები. კომისიამ უნდა გამოარკვიოს რუსეთის ძველი მთავრობის ვალი საფრანგეთისადმი.

**პრაგა.** ივლ. 17. „ნაროდნაია დემოკრატია" იუწყება: პოლონელები სრულებით სტოვებენ აღმოსავლეთ გალიციას. მთავრობის პირებმა გამოსცეს განკარგულება ლვოვის ევაკუაციის შესახებ. მთავრობის ყველა დაწესებულება ბელცში გადააქვთ.

**მოსკოვი.** „სასურ. საქმის" კოლეგიის წევრი სვიდერსკი „ეკონ. ჟიზნ." კოოპერაციის საკითხის შესახებ სწერს: მას შემდეგ, რაც ჩვენს ცხოვრებაში გავატარეთ დეკრეტი მარტის 20 კოპერაციის ტეხნიკური აპარატი გადაიქცა ცოცხალ ლეშათ, უპატრონო ქონებათ, რომელიც სასურსათო ორგანოების საშუალებით, რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა ჩაიბაროს საბჭოთა მთავრობამ. ამის წინააღმდეგ, „პრავდაში" ილაშქრებს ჯელცი, რომელიც ამბობს: არ არის საჭირო ხელების დაბანა მხიარულად მას შემდეგ, რაც ერთი წლის მუშაობის შემდეგ აღმოჩნდა ლეში, რომელიც საბჭოთა მთავრობას მილიარდები დაუჯდაო".

**პეტროგრადი.** „იზვესტია" გადმოგვცემს „დეუტშე ტაგესცეიტუნგის" ცნობას იმის შესახებ, რომ ამ უახლოეს დღეებში ბუდაპეშტში მიემგზავრება გერმანიის სამხედრო პარტიის წარმომადგენელი გენ. გოფმანი, რომელსაც განზრახვა აქვს უნგრეთის დიქტატორ ხორტისთან ერთად შეიმუშავოს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედების გეგმაო. ბუდაპეშტში უნდა მივიდნენ აგრეთვე გენ. ფონ დერ ჰოლცი, ლიუდენდორფი, ბერმონტ ავალოვი და ბრიტანეთის ზოგიერთი ოფიცერიო.

**პარიზი.** თანახმად მიღებულ ცნობებისა ქემალისტებთან მებრძოლ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლათ, ამ ჟამად ეგვიპტეში მყოფი, გენ. ალენბი დაინიშნა.

**კონსტანტინოპოლი.** „ბოსფორი" თავის წერილში, რომლის სათაურიც არის „მდგომარეობა მოსკოვში" იძლევა, კითხვას: რით დაასრულებენ ბალშევიკები? დაიწყეს, სწერს ავტორი, იმით, რომ სთქვეს მსოფლიო უნდა განიარაღდესო, დაასრულეს კი იმით, რომ თვით დააწესეს საშინელი მილიტარიზმი. დაიწყეს საშინელი აგიტაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თითონ კი ჯერ არ ყოფილი იმპერიალიზმი გაამეფეს. ისინი პირდებოდნენ ხალხს შინაგან ზავს და თავდაუჭერელ სამოქალაქო ომს კი აწარმოებენ. უარყვეს საიდუმლო ხელშეკრულებანი და თვითონ კი არა თუ ხალხს უმალავენ ყველაფერს, არამედ სდებენ საიდუმლო ხელშეკრულებებს ისე, რომ ერთმანეთსაც არაფერს აგებინებენ. ევროპის მშვიდობიანობა იმ დროს, როდესაც რუსეთში შეუჩერებელი სამოქალაქო ომი სწარმოებს, ბეწვზეა დაკიდებული. რა შედეგი უნდა მოგვცეს რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენამ მაშინ, როდესაც რუსეთი, როგორც სამოქალაქო და ეკონომიური აპარატი, აღარ არსებობს. ეს უნდა გაითვალისწინონ მოკავშირეებმა და ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადასწყვიტონ რუსეთის საკითხი: ან დიპლომატიურ მოლაპარაკების საშუალებით და სამხედრო ჩარევით, ან და უნდა წავიდეს დათმობაზე და განსაზღვრულ პირობებში საბჭოთა მთავრობას ზავით უნდა შეეკრან.

**კოპენჰაგენი.** ივლ. 14. შვეციის პრესა ადასტურებს ცნობას იმის შესახებ, რომ გუჩკოვს შეუკრებია 60,000 კაცი ბალშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ზომებს ღებულობენ, რომ ეს ჯარი ორჯერ გაადიდონ ლიტვისა და ლატვის მოხალისეებით. ჯარის წარმომადგენლათ ბერლინში დანიშნულია პოლკ. ვენტი გუჩკოვი აღგენს ამ ჯარის უახლოეს მიზნების შესახებ დაწვრილებით მემორანდუმს, რომელსაც ელჩთა საბჭოს წარუდგენს.

**ქრისტიანია,** ივლ. 15. ბრანტინგმა განაცხადა: მთავრობა ყოველგვარ ზომებს ხმარობს ქაღალდის სიმშილობის თავიდან ასაცილებლად. განზრახულია ქაღალდის მკეთებელ ქარხნების მოქმედების შესაძლებელ მაქსიმუმამდე აყვანა, რათა ამგვარათ არა მარტო შვეციის საჭიროება დავაკმაყოფილოთ, არამედ საზღვარ-გარეთაც გავიტანოთო.

### საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი.

**რუსეთის დელეგაცია ინგლისში.**

**მოსკოვი.** 18 ივლისი. ლონდონში რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია რუსეთის ცენტ. აღმას. კომიტეტის წევრი და მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კამენიევი, თავმჯდომარის ამხ. კრასინი. დღეს რუსეთის დელეგაცია წავა რეველში, საიდანაც ინგლისის ნაღმოსნით გაემგზავრება ლონდონში. რუსეთის დელეგაციის წევრათ აგრეთვე დანიშნულია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მილიუტინი.

**ლიტვის დელეგაციის დეკლარაცია.**

**მოსკოვი.** 15 ივლისი (ოფიციალურად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან) ლიტვის დელეგაცია, რომელმაც მოაწერა ხელი რ. ს. ს. ფ. რ. საზავო ხელშეკრულებას, იღებს რა მხედველობაში რუსეთსა და პოლონეთს შორის ომს და უკანასკნელის მიერ იმ ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას, რომელიც რუსეთთან ხელშეკრულების ძალით წარმოადგენს ლიტვის ტერიტორიას; და ამასთანავე რუსეთის არმიისათვის ტეუძლებლობას პოლონეთის წინააღმდეგ სამარ მოქმედებათა შეჩერებას ლიტვის საზღვარზედ, აცხადებს ცალკე დეკლარაციაში, რომ რუსეთის ჯარების მიერ ლიტვის საზღვარის გადალახვის ფაქტს და იმ ტერიტორიის ნაწილის დაკავება, რომელიც ხელშეკრულების ძალით წარმოადგენს ლიტვის საკუთრებას, არ იქნება მის მიერ ჩათვლილი ხელშეკრულების დარღვევათ და ლიტვის მიმართ არამეგობრულ აქტათ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო სტრატეგიულ საჭიროების განვლის შემდეგ, რუსეთის ჯარები აღნიშნულ ტერიტორიიდან გამოყვანილნი იქნებიან.

## პოლკოვნიკ ჰასკელის წასვლა

ივლისის 30 ს საღამოს თფილისიდან ამერიკას გაემგზავრა პოლკოვნიკი ჰასკელი. სადგურზე გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული მუსიკით. სადგურზე ჰასკელის გასაცილებლათ მოვიდენ მთავრობის თავმჯდომარის თან. ალ. სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრის თან. გენ. გედევანიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ნ. ქარცივაძე და მთავრობის სხვა წარმომადგენლები. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ლორთქიფანიძემ მიმართა ჰასკელს მოკლე მისასალმებელი სიტყვით, რომელშიაც მადლობა გადაუხადა მას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც იგი იჩენდა საქართველოსადმი. ე. გეგეჭკორმა მგრძნობიარე სიტყვაში აღნიშნა, რომ პოლკ. ჰასკელმა პირველმა აცნო საქართველოს მთავრობას მისი დამოუკიდებლობის

ცნობა. გენ. გედევანიშვილმა ამერიკის მომავალ წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ძალების შეიარაღებაში და ჯარის სახელით პოლკ. ჰასკელს მიართვა ოქროს სურა და კულა. პოლკ. ჰასკელმა თავის პასუხში აღნიშნა, რომ საქართველო თავისი ბრძნული პოლიტიკის წყალობით ღირსი იყო დამოუკიდებლობის ცნობისაო. ამასთანავე მან აღნიშნა დიდი როლი საქართველოსი, რომელიც აზიის ჭიშკარს წარმოადგენს. პოლკ. ჰასკელმა აღნიშნა საქართველოს მთავრობის როლი სომხეთის დახმარების საქმეში და უსურვა შეერთებული მეგობრული მუშაობა სომეხ და ქართველ ხალხს. სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, რომელიც ამ გაცილებას დაესწრო, მადლობა გადაუხადა ჰასკელს სომხეთისათვის გაწეულ დახმარებისათვის. დასასრულ პოლკ. ჰასკელს გადასცეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ადრესი და სამადლობელი წერილი. (სდს).

## საბერძნეთის მისიის ცნობა

ვენიზელოსმა ბრიუსელის გაზ. „ინდეპანდანს ბელჟის" თანამშრომელს განუცხადა: „ჩემთვის მეტად სასურველი იქნებოდა სომხეთი და პონტი ფედერალიულათ შეერთებულ სახელმწიფოდ მენახა. მაგრამ ეს პროექტი არ არის განხორციელებული. საბერძნეთის პონტი ოსმალეთის საზღვრებში იარსებებს, როგორც ავტონომიური ერთეული. იგი იქნება სახელმწიფოთა კონტროლის ქვეშ. სომხეთს კომერციულ გასავალს მისცემენ ტრაპიზონში".

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: კესარიის მიდამოებიდან დაიწყო სომხების გადმოსახლება, რადგანაც იქ ამ უკანასკნელ ხანებში არა მუსულმან მცხოვრებთა მდგომარეობა აუტანელი შეიქნა.

ფილიპოპოლიდან იუწყებიან: იმ შენობაში, სადაც მოთავსებული იყო საფრანგეთის სამხედრო მისია და სცხოვრობდა საბერძნეთის ელჩი, ყუმბარა შეაგდეს. სოფიადან საქმის გამოსაძიებლად გაგზავნეს საგანგებო კომისია, რომელშიც შედის თითო წარმომადგენელი საფრანგეთის და ბულგარეთისა.

ოფიციალურად იუწყებიან მცირე აზიის ფრონტზე საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ.

## ახალი ამბები

**1919 წლის მაისის 20 კანონი. მთავრობამ განიხილა რა სამხედრო მინისტრის მოხსენება 1919 წლის მაისის 20 კანონის შეცვლის შესახებ, რომელიც ოჯახის მარჩენალს და ასეთ ოჯახებზე დახმარების აღმოჩენას ეხება, დაადგინა: 1) გააუქმოს ამ კანონის მოქმედება, 2) იმ ოჯახებს, რომელთა ერთად ერთი მარჩენელი გაწვეულია ჯარში, აღმოუჩინოს დახმარება. ერთი ნაწილი ამ დახმარებისა უნდა გაიღოს სახელმწიფო ხაზინამ, მეორე ნაწილი კი ერობების და ქალაქის თვითმართველობებმა. იმ შემთხვევაში, თუ ერობას არ შეუძლიან თანხის გაღება, მან ოჯახებს ნატურით უნდა აღმოუჩინოს დახმარება. სათანადო დეკრეტი დამფ. კრებას უნდა წარედგინოს.**

◆ **ხორცი.** თფილისის ქალაქის გამგეობამ ივლისის 30-ს სხდომაზე დაადგინა: გამორკვეულია, რომ მეხორცენი განზრახ ჰკლავენ საქონლის მცირე რიცხვს და იღებენ ზომებს საქონლის რაც შეიძლება მცირე რიცხვის მოსარეკათ. ამისათვის საბჭომ დაადგინა, რომ იმ მეხორცეების დუქნებს, რომელნიც 5 დღის განმავლობაში ხორცით არ ივაჭრებს მთელი ინვენტარით რეკვიზიციას გაუკეთებენ და მათ გადასცემენ ქალაქისა და კოოპერატიულ დუქნებს, ხოლო მათ პატრონებს სრულებით აუკრძალავენ ხორცით ვაჭრობას.

**ბათომის ქარხნების დათვალიერება.** ბათომის ოლქში გაემგზავრა საგანგებო კომისია სამთამადნო სამმართველოს უფროს ინჟენერ ყიფშიძის მეთაურობით. ეს კომისია დაათვალიერებს კვარცხანის, ძანსულის, ქედაბესის სპილენძის ქარხნებს.

◆ **ერობათა კავშირის გამგეობამ** განსაკუთრებული ცირკულიარით მიმართა სამაზრო ერობებს იმის შესახებ, რომ მათ განუმარტონ ხალხს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოვალეობანი. ერობათა კომიტეტი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ძველი მთავრობა წინააღმდეგი იყო ჩვენში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაარსებისა. ამიტომ შეიქნა ნიადაგი სასამართლოსადმი უნდობლობისა. საქართველოს მთავრობამ შემოიღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დემოკრატიამ ამ საქმის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს. სამწუხაროდ ემჩნევა, რომ არჩეული ნაფიცი მსაჯულნი ცდილობენ საქმის გარჩევიდან თავის განთავისუფლებას. ამგვარი საქციელი ყოვლად გაუმართლებელია და ერობის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ზომები და ხალხს აუხსნან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის საჭიროება და აუცილებლობაო.

◆ **ბაქოდან** გუშინ თფილისში ჩამოვიდა აძერბეიჯანის ყოფილი პარლამენტის წევრი ამხ. ვლ. ბაქრაძე. მასთან ერთად ბაქოდან ჩამოვიდა ამხ. ი. ძიძიგური.

◆ **დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიის** თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი გუშინ ადრე დილით გაემგზავრა ყაზბეგ-დარიალისაკენ ჩვენი ნაწილების და საზღვრების დასათვალიერებლად. მასთან ერთად გაემგზავრა გენერალი ახმეტელი.

◆ **თამბაქოს გატანა.** მთავრობამ დაადგინა: ნება დართოს სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ ანგლიის ფირმათა წარმომადგენლებს საზღვარ გარეთ თამბაქოს გატანისა. ბაჟის რაოდენობის გამორკვევა მიენდო მომარაგების მინისტრს.

◆ **ბათომის მრეწველობის პერსპექტივები.** ფინ. სამ. სავაჭრო—სამრეწველო განყოფილების უფროსი ვ. გუნცაძე, რომელმაც ბათომის სამრეწველოები დაათვალიერა, აღნიშნავს, რომ საჭიროა სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული ძანსულისა და კვარცხანის ქარხნების აღსადგენათ. ამ ქარხნებს მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებათ რესპუბლიკისათვის.

◆ **მუშათა დელეგაცია.** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აცნობა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რომ რესპუბლიკის პროფესიონალურმა კავშირებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ აძერბეიჯანში სპეციალური დელეგაცია მუშებისა, რისთვისაც იგი მისგან ამ მიზნისათვის ითხოვს საჭირო თანხის გაღებას. იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც გაგზავნილ უნდა იქნეს აძერბეიჯანში, შევა თითო წარმომადგენელი ყველა არსებულ პროფესიონალურ კავშირისა.

◆ **მუშათა საექიმო დახმარება.** ივლისის 27-ს შრომის კომისარიატში შესდგა თათბირი ფაბრიკა-ქარხნების და თფილისის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის წარმომადგენლებისა, მუშათა საექიმო დახმარების საქმის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის ხელში გადასვლის შესახებ. აღნიშნულ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა შრომის კომისარმა. საავადმყოფო კასის წარმომადგენლები აღნიშნავდენ რა მუშათა საექიმო დახმარების საერთოდ ცუდ პირობებს, მოითხოვდენ აღნიშნული საქმე ქალაქის საერთო საავადმყოფო კასას გადასცემოდა იმ პირობით, რომ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებს შეეტანათ კასაში 4 % მუშათა ხელფასისა. ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები კი აცხადებენ რა პრინციპიალურ თანხმობას მუშათა საექიმო დახმარების საქმის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის ხელში გადასვლაზე, აღნიშნავს, რომ ისინი ვალდებულნი არიან შეიტანონ კასაში არა 4% მუშათა ხელფასისა, არამედ 2%. მუშათა წარმომადგენლები ვერ შეუთანხმდენ დამქირავებელთ და დაადგინეს სთხოვონ შრომის მინისტრს, იშუამდგომლოს დამფუძნებელ კრების წინაშე, რათა შესცვალონ სათანადო მუხლები კანონისა მუშათა საექიმო დახმარების შესახებ იმ მიზნით, რომ ეს დახმარება სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული.

◆ **რუსულ სამუსიკო საზოგადოების ქონება.** მთავრობამ, მოისმინა რა განათლების მინისტრის მოხსენება ყოფილ რუსულ სამუსიკო საზოგადოების ქონების შესახებ, დაადგინა: თფილისის კონსერვატორიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადოს.

◆ **ხე-ტყე ბათომის ციხე-სიმაგრისთვის.** თავდაცვის საბჭომ გადასწყვიტა ბორჯომის სახერხი ქარხნიდან 50,000 კუბ. გოჯი ხე-ტყის მასალა გადასცეს სახაზინო ფასებში ბათომის ციხე-სიმაგრეს.

◆ **დახმარება ქ. ონს.** მთავრობამ დაადგინა მისცეს ქ. ონს 5 წლის ვადით 5 პროცენტიანი 3 მილ. მანეთი სესხი. სესხი უზრუნველყოფილია ქ. ონის უძრავ ქონებით. სათანადო დეკრეტი შეტანილ უნდა იქნეს დამფ. კრებაში.

◆ **მოწყალების დათა კავშირის წესდება.** პროფესიონალურ კავშირების საბჭომ დაადგინა დაამტკიცოს მოწყალების დათა კავშირის წესდება. ამასთანავე დაადგინეს მიმართონ წინადადებით ექიმის თანაშემწეთა, საავადმყოფოში მომუშავეთა და მოწყალების დათა კავშირებს, რათა ისინი შეერთდენ ერთ კავშირში.

◆ **ქურდობა სახელმწიფო უნივერსიტეტში.** 27 ივლისს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გ. მოსიშვილმა შეატყობინა სისხლის სამართლის მილიციას, რომ უნივერსიტეტიდან მოპარულია 100,000 მან. ღირებული ნივთები. გამოსაძიებლათ გაგზავნილმა უფროსმა აგენტმა აღმოაჩინა, რომ ნივთები მოიპარა უნივერსიტეტში მოსამსახურე ივანე იოს. ციციშვილმა, რომელმაც დამალვა მოასწრო. იმავე დღეს შეიპყრეს ციციშვილი თფილისის სადგურზე, საიდანაც ის აპირებდა სოფელში გამგზავრებას. სისხლის სამართლის მილიციაში მიყვანის შემდეგ ციციშვილი გულწრფელათ გამოტყდა ქურდობაში და მიუთითა თავის ამხანაგზე, ნიკ. კონსტანტ. დეკანოზიშვილზე, დეკანოზიშვილი დატუსაღებულია და ქურდობაში გამოტყდა. მოპარული ნივთები აღმოაჩინეს ციციშვილის ბინაზე (უდელის ქ. № 19) ნივთები უნივერსიტეტს დაუბრუნეს! ციციშვილის და დეკანოზიშვილის საქმე სასამართლოს გადაეცა.

◆ **სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები.** იბეჭდება და 1-ლ სექტემბრისათვის მზათ იქნება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგი გამოცემანი: 1) ქართველი მწერლები 1 ნაწ. ი. გომელაურისა; 2) ქართველი მწერლები მე-2 ნაწ. მისივე; 3) რომის ისტორია პროფ. დ. უზნაძისა; 4) ახალი ისტორია მისივე და გველესიანისა; 5) არითმეტიკის სახელმძღვანელო ივანე ავალიშვილისა; 6) დედა ენა 1 ნაწ.; 7) დედა-ენა მე 2 ნაწ. ამ წიგნების დაკვეთა და ბე მსურველებმა უნდა გამოგზავნონ წერა კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში (დამფუძ. კრების ქ. № 5).

◆ **ჟურნალ „მხედარი".** გამოვიდა ჟურნალ „მხედარი"-ს მე—9 ნომერი. ნომერი შინაარსიანია. მოთავსებულია შიგ ბევრი სურათები.

### კრებები.

ორშაბათს, 2 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— ორშაბათს, 2 აგვისტოს, დანიშნულია ვერის მუშათა კლუბის გამგეობის კრება.

— ხვალ, დილის 9 ს., ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია თფ. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები.

## ბათომის საბაჟო

საბაჟო ნაწილის გამგე ვ. მ. შიქაძე თავის მოხსენებაში, რომელიც ფინანსთა მინისტრს წარუდგინა და რომელიც ბათომის საბაჟოს მიღებას ეხება, იუწყება, რომ საბაჟოს გადაცემამდის მოხდა ინგლისისა და საქართველოს მმართველი პირების შეერთებული სხდომა. სხდომაზე საბაჟო გადაცემის წესრიგი—გამოირკვა. სხდომის შემდეგ ინგლისელმა ოფიცერმა, რომელიც ხელმძღვანელობდა საბაჟო გადასახადების შეკრებას, დაუყოვნებლივ შეკრიბა მოსამსახურენი და მიქაძის თანდასწრებით გამოუცხადა, რომ საბაჟო საქართველოს გადაეცაო. ამ დროს ჩამოუშვეს ინგლისის დროშა და მის მაგივრად საქართველოს დროშა ასწიეს. გადმოცემის დროს საბაჟოს კასაში აღმოჩნდა: ნაღდ ფულად 788 460 მან. 69 კაპ. და ინგლისის ჩეკები 636 8000 მან. საბაჟოს გადმოცემის შემდეგ მთელი საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს. ნატანების საბაჟო დაიხურა. ამ საბაჟოს მოსამსახურეთა ნაწილი გადაყვანილია ბათომში, ნაწილი კი სხვა საბაჟოებში. შემდეგ დაათვალიერეს საქონელი. ამ ჟამად ბათომის საბაჟოს მოქმედება სრულიად მოწესრიგებულია. საბაჟოს შტატი შემდგარია. დასასრულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საბაჟოს მოქმედება თანდათან ფართოვდებაო. (სდს).

## სომხეთში

**ერევანი.** 29 ივლ. მიღებული ცნობების თანახმად, სომხეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას ბეჟუჯ-ველთან და შარურთან ხელმძღვანელობდა ნური ფაშა, რომელიც დამარცხების შემდეგ ნახიჩევანში გაიქცა. ამ ჟამად ნური-ფაშამ კვლავ მოახერხა ოსმალეთში გაპარვა, სადაც ახალ ჯარებს აგროვებს სომხეთზე თავდასასხმელათ.

გაზ. „არაჩის" ცნობით შახტახტის ბრძოლაში სელიმოვის სარდლობით მონაწილეობას იღებდა აძერბეიჯანის რეგულიარული ცხენოსანთა პოლკი.

**ერევანი.** 29 ივლ. ივლისის 26 ერევანში ჩამოვიდა ნახიჩევანის თათართა დელეგაცია მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ სომხეთის ძალა-უფლების აღიარების შესახებ. გადმოცემენ, რომ სომხეთის მთავრობამ მათ შემდეგი პირობები დაუდვა:

საბოლოო განიარაღება, 2) ჯულფის რკინის გზის ორივე მხარის 40 ვერსის მანძილზე გაწმენდა მუსულმან მცხოვრებთაგან და 3) ზარალის ანაზღაურება. ჯერ-ჯერობით შეთანხმება არ მომხდარა. ივლისის 27 დელეგაცია ნახიჩევანში დაბრუნდა.

სომხეთის მთავრობამ თფილისში გაგზავნა მოხელე შარურიდან და ნახიჩევანიდან გამოქცეულთ რეგისტრაციის მოსახდენათ.

„არაჩი" იუწყება: აძერბეიჯანის ჯარის ნაწილებში უკმაყოფილებაა. თხოულობენ დემობილიზაციას. ექსცესების თავიდან ასაცილებლათ 5000 ჯარისკაცს შეებულება მისცეს. „არაჩი"-სავე სიტყვით: ჯევანშირის მაზრაში დახვრიტეს 13 გამოჩენილი სომეხი მოღვაწე, მათ შორის უმეტესი ნაწილი დაშნაკცაკანია. (სდს).

## მუშათა დელეგაციის გაგზავნა რუსეთში

30 ივლისს გაიხსნა საქართველოს პროფეს. კავშირთა საბჭოს წევრთა და პროვინციალურ საბჭოთა წარმომადგენლების კონფერენცია. დაესწრო 30-ზე მეტი დელეგატი. აღმ. კომიტეტის სახელით კრება გახსნა თავმჯდომარის ამხანაგმა ალ. ხელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ კონფერენციის წინაშე სდგას ერთი მთავარი კითხვა: საქართველოს მუშათა კლასის დელეგაციის არჩევა და გაგზავნა საბჭოთა რუსეთში.

კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ქუთაისის საბჭოს წარმომ. ამხ. ტუსკია.

კრებამ დელეგატების საერთო რიცხვი 15-მდე აიყვანა. შემდეგ არჩეულ იქნა კანდიდატები. დელეგაციის შემადგენლობის საბოლოოდ გამომუშავება შემდეგი სხდომებისთვის გადაიდო.

—

დელეგატებათ არჩეულნი არიან: 1) ალ. დგებუაძე, 2) ვლ. მგელაძე, 3) პავ. ბერიშვილი, 4) ერ. ტოროტაძე, 5) გაჩეჩილაძე, 6) ვ. ცენტერაძე, 7) ასათიანი, 8) შუბაშვილი, 9) ლევაშკევიჩი, 10) კაიტაჯიანცი, 11) გენძეხაძე; კანდიდატებათ: 1) ფირცხალაძე, 2) პატარიძე, 3) ქიქოშუა, 4) ამაშუკელი; მდივნებათ: 1) გოლდმანი, 2) ლ. რუხაძე. გარდა ამისა, დატოვებულია ესერებისთვის და დაშნაკელებისთვის თითო ადგილი, გლეხებისთვის—2.

## სატარიფო პალატაში

მელითონეთა გაერთიანებულმა კავშირმა მიმართა სატარიფო პალატას განცხადებით, რომელშიაც მიუთითებს, რომ მე 4 მუხ. ინსტრუქციისა ერთდროული დახმარების შესახებ ეხება მხოლოდ იმ მუშებს, რომელნიც მუშაობდენ ივლ. 23 დღე ამ განკარგულების მიხედვით ეს ერთდროული დახმარება არ მიეცემათ იმ მუშებს, რომელთაც სამსახურს თავი დაანებეს ივლისის 23-მდე მიუხედავათ იმისა, თუ ეს პირები ამა თუ იმ წარმოებაში რამდენ ხანს მსახურობდენ. ამასთანავე ეგევე ინსტრუქცია უფლებას აძლევს მიიღოს ერთდროული დახმარება იმ მუშებმა, რომელნიც მიღებული იქნენ სამსახურში ივლისის 1 შემდეგ. ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ერთდროულ დახმარების მიცემა ეხება არა მარტო ივლისის თვეს, არამედ—უკანასკნელ თვეებს, და გამოწვეულია საერთო სიძვირით და რომ მუშებს, რომელნიც დაითხოვეს ივლისის 23-მდე ისეთივე უფლება აქვთ მიიღონ ერთდროული, დახ. როგორც იმ მუშებს, რომელნიც მიღებულ იქნენ სამსახურში 1 ივლისის შემდეგ, კავშირის გამგეობამ დაადგინა: სთხოვოს სატარიფო პალატას შესცვალოს მე 4 მუხლი ინსტრუქციისა იმ გვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ერთდროული დახმარება მიიღონ იმ მუშებმაც, რომელნიც ივლისის 23-დე იყვნენ დათხოვნილნი. (სდს).

## მუშათა ექსკურსია ბათომში

25 ივლისს ღამის 12 საათზე პლაკატებითა და ყვავილებით მორთული ვაგონები ლითონზე მომუშავეთა კავშირის ორასი მუშით გავიდა თფილისიდან ბათომისაკენ.

ის აზრი, რომ მეორე დღეს უნდა ჩასულიყვენ ბათომში,—ამ რევოლიუციის აკვანში,—მუშების სახეზე სიხარულის ღიმილს ათამაშებდა...

ვაგონებში გაისმოდა რევოლიუციონური სიმღერები.

ხაშურიდან უკვე დღეა. ჩვენს თვალწინ იშლება მშვენიერი სურათი: ყანები სანახევროთ მოკილია და მძიმე თავთავებით ძნები სამიულებათ არის ჩამწკრივებული. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სადგ. წიფას იქით დათესილი სიმინდი ეხლავე დიდ იმედებს იძლევა.

მუშებს ახარებს ასეთი კარგი მოსავალი, სახეზე კმაყოფილების გრძნობა უთამაშებს.

26 ივლისს, დილის 12 საათზე უკვე მივუახლოვდით ბათომს. შავმა ზღვამ თავისი ლურჯი გული გადაშალა... დაწყნარებული აბანავებდა მოკრიალებულ გულში მზის სხივებს...

ბათომის სადგურზე დაგვიხვდენ ამხ. ბ. ჩხიკვიშვილი, გენ. მდივან, ამხ. აიოლო და პროფესიონალურ კავშირთა ბევრი მუშაკები.

შევუდექით ქალაქის დათვალიერებას. პირველად ვინახულეთ ის შენობა, სადაც აპირებენ პროფესიონალურ კავშირების მოთავსებას. შენობა საუცხოვოა და ზედ გამოჭრილია კავშირებისათვის.

პროფესიონალური მოძრაობა ბათომში აქამდის სულ ჩამკვდარი იყო; თუ კი არსებობდა სადმე კავშირი,—ასეთი ბოლშევიკების მეოხებით გადაქცეული იყო პოლიტიკურ ორგანიზაციათ, რაც მას უკარგავდა წმინდა პროფესიონალურ კავშირების ელფერს.

ამ ბოლო დროს ამხ. აიოლოსა და სხვა ამხანაგების მეთაურობით პროფესიონალურ მუშაობას უკვე გამოცოცხლება დასტყობია და, იმედია, თუ თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოც გაგზავნის იქ მომზადებულ მუშაკებს—კავშირების საქმე ბათომში საბოლოოთ გამოკეთებული იქნება.

შემდეგ ვინახულეთ ბარცხანა. ზღვაში ვნახეთ სახელოვანი გამანადგურებელი „ტარიელი". მისმა მოხდენილმა და სწრაფმა ცურაობამ მუშებში სიხარული გამოიწვია.

საღამოს შვიდ საათზე მოწვეული იყო ადგილ-ბრივ პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სხდომა, სადაც მოგვესალმა ამხ. აიოლო, მისი მგზნებიერი სიტყვა მუშებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. შემდეგ თფილისის პროფ. კავშირების საბჭოსა და ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირის სახელით მიესალმა ბათომის პროლეტარიატს ამხ. ო. ლაცაბიძე, რომელიც შეეხო თფილისის პროფესიონალურ კავშირთა მუშაობას და იმედი გამოსთქვა, რომ გაერთიანებული თფილისისა და ბათომის პროლეტარიატი, პროფესიონალური კავშირები შესძლებენ საერთო ძალ-ღონით ადვილათ მიაღწიონ პროლეტარიატის საბოლოო მიზანს—სოციალიზმს.

ილაპარაკეს არსენალის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ახალაბედაშვილმა და სხ.

აღსანიშნავია ადგილობრივი ლითონზე მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარის ბოლშევიკის გამოსვლა, რომელმაც ვეღარ შესძლო თავისი სულისკვეთება გამოემჟღავნებინა: ჩვენი მუშების გამოსვლებმა მას სულ დაუბნია დავთრები.

დასასრულ არ შეგვიძლია კავშირის სახელით მადლობა არ ვუთხრათ სამხედრო სამინისტროს ვაგონების დათმობისათვის. ექსპლოატაციის უფროს აბელოვს, აგრეთვე ამხ. გენ. ჩხიკვიშვილს, ამხ. აიოლოსა და სხვებს, რომლებმაც ხელმძღვანელობა და დიდი დახმარება გაგვიწიეს.

ო. მაშოშვილი.

## რეპრესიები რუსეთის სოც. დემ. წინააღმდეგ

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრილ პროტესტს აცხადებს მთელ რიგ რეპრესიათა გამო, რასაც პარტიის წევრთა წინააღმდეგ მიმართავდენ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში მათი პოლიტიკურ მოღვაწეობისთვის; ეს რეპრესიები შემდეგში გამოიხატებოდა: ატუსაღებდენ ორგანიზაციების წევრებს (ქ.ქ. სამარა, ეკატერინბურგი, პეტერბურგი, დონის როსტოვი, მელიტოპოლი) და აძევებდენ სოც.-დემ. წარმომადგენლებს საბჭოებიდან, უმთავრეს ნაწილათ მათი არჩევისთანავე (გომელი, ადესა, ნიკოლაევი, დონის როსტოვი).

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამ რეპრესიების ერთად-ერთ ჭეშმარიტ მიზეზათ ჩაითვლება ის გავლენა პროლეტარიატის ფართო წრეებზე, რომლითაც ჩვენი პარტია სარგებლობს ადგილობრივ საბჭოებში არჩევნების დროს და პროფესიონალურ კავშირთა ყრილობებზე, მიუხედავათ იმისა, რომ იგი განიცდის მუდმივ დევნას და მოკლებულია ბეჭვდითი ორგანოებს.

საბჭოთა მთავრობა უძლურია შეებრძოლოს ასეთ გავლენას პატიოსანი იდეური ბრძოლით და ისიც მიმართავს პოლიციურ ძალადობის უაზრო ზომებს; ასეთი ზომების გამართლებას იგი ცდილობს ძველ, მაგრამ მუდამ ახალ დაბეზღებებით სოც. დემოკრატიის წინააღმდეგ და ამ მხრივ იგი უკან არ იხევს უაღრესათ ფანტასტიურ ცრუ ბრალდებების წინაშე.

ამ პოლიციურ გულმოდგინეობის გმირობათა შორის რუს. სოც დემ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულის აღშფოთებით აღნიშნავს ძალადობის იმ ზომებს, რასაც ნიკოლაევში, დონის როსტოვში და ეკატერინბურგში ჰქონდა ალაგი.

**ნიკოლაევში**—ადგილობრივ საბჭოს 11 წევრი—დეპუტატები, რ. ს.-დ. მ. პ. წევრები, გამორიცხული იქნენ პირველ სხდომაზედვე იმიტომ, რომ მათ თავი შეიკავეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრათ წამოყენებულ ვ. ი. ლენინის კანდიდატურის კენჭის ყრის დროს.

**ეკატერინბურგში**—12 ამხანაგი, მათ შორის სამსახურის საქმეების გამო გაგზავნილი ცენტრ. კომიტეტის წევრი, ამხ. დალინი, დატუსაღებულ იქნენ იმიტომ, რომ პარტიის წევრებმა ილაპარაკეს არჩევნების წინ მოწვეულ პირველ კრებაზე ადგილობრივ საბჭოს საარჩევნო კომპანიის დროს.

დასასრულ **დონის როსტოვში**—საგანგებო კომისიის („Ч. К.") განსაკუთრებულმა კომისიამ დააპატიმრა 12 ამხანაგი—დონის კომიტეტის წევრები; მათ ბრალდებათ კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობა და ემუქრებიან რევოლიუციონურ ტრიბუნალის სასამართლოში მიცემით.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაპატიმრებულ ამხანაგთა სახით შორის ძიების მსხვერპლათ ხდებიან ძველი და ადგილობრივ მუშათა მოძრაობის ყველაზე უფრო გავლენიანი მომაგენი, რომელთა შორისაც არიან გამობრძმედილი მებრძოლნი, რომლებიც ხშირათ ყოფილან გაგზავნილნი კატორღაში და გამომწყვდეულნი მეფის საპყრობილეებში.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საგანგებო კომისიას („Ч. К.") არც ერთი ფაქტი არ წამოუყენებია, რომელიც ოდნავათ მაინც ამტკიცებდეს ამხანაგების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას,—თითქოს ისინი დახმარებას უწევდენ კონტრ-რევოლიუციონერებს.

ცენტრალური კომიტეტი ზიზღით უარყოფს საგან. კომ. ცდას გამოიყენოს როსტოველი ამხანაგების დამნაშავეობის დასამტკიცებლათ მათი პოლიტიკური უთანხმოება რ. ს.-დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, ვინაიდან, რამდენათაც დიდი არ უნდა იყოს ეს უთანხმოება,—იგი შეეხება პროლეტარიატის კლასიურ ინტერესებისათვის ბრძოლის მეთოდებს და არავითარი საერთო არა აქვს იმ ბრალდებასთან, თითქოს ისინი დახმარებას უწევდენ დენიკინს და სხვა რეაქციონურ გენერლებს.

ცენტრალური კომიტეტი თავის აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ წინააღმდეგ დაპირებისა, რომ მათ საქმეს ღია კარებში გაარჩევდენ როსტოვში,—როსტოველი ამხანაგები ფარულათ წაიყვანეს საცხოვრებელ ქალაქიდან, სადაც მათ დაპატიმრებამ მთელი რიგი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია ადგილობრივ პროლეტარიატის მხრივ და რომ ეხლა გამოძიებას აწარმოებენ მოსკოვში, 1000 ვერსის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ისინი მუშაობდენ როსტოვის პროლეტარიატის თვალ წინ,—იმ პროლეტარიატის, რომელიც ყველაზე უფრო კომპეტენტური მსაჯულია მათი მოღვაწეობისა.

დარწმუნებული იმაში, რომ როსტოველ ამხანაგების წინააღმდეგ დაწყებული პროცესი დათავდება ისეთივე შერცხვენით თვით ბრალმდებლებისა, როგორსაც არც ისე დიდი ხანია, რაც ალაგი ჰქონდა კიევში შეთითხნულ ასეთივე პროცესის დროს,—ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ვერავითარი რეპრესიები, ტერორისტული ზომები, რეაქციონერებიდან ნასესხები ვერავითარი ხრიკები პროცესების მოსაწყობათ ვერ აიძულებენ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შესცვალოს ის ხაზი, რომელსაც მას უკარნახებს მისი გაგება პროლეტარიატის კლასიურ ინტერესებისა და რევოლიუციის ჭეშმარიტ ინტერესებისა; ვერ აიძულებენ მას ძირს დახაროს დროშა სწორ სოციალისტურ ოპოზიციისა, რომელიც მიმართულია უუფლებობისა და უმცირესობის დიქტატურის წინააღმდეგ.

რუს. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი.

14 ივნისი, 1920 წ.

## კომუნისტების „შუამდგომლობის" გამო

„საქართველოს კომუნისტი" ს მე 18 №-ში ამოვიკითხე, სხვათა შორის, ქუთაისის ციხეში დაპატიმრებულ კომუნისტების დეპეშით მიმართვა მთავრობის თავმჯდომარისადმი; რომელთა რიცხვში აღმოჩნდა ლეჩხუმის მაზრაში კარგათ ცნობილი ს. ქჯაია. მიმართვაში ისინი დიდ განცვიფრებას გამოსთქვამენ, რომ სრულიად უმიზეზოდ იქნენ დაპატიმრებულნი; მოითხოვენ დაუმტკიცონ მათ დანაშაული. ბოლოს დასძენენ რომ მზად არიან მიატოვონ რესპუბლიკის საზღვრები.

აქვე წავიკითხე სენაკის მაზრაში დაპატიმრებულ კომუნისტების შესახებაც აქაც აღმოჩნდა კარგად ცნობილი ს. ოჩიგავა.

ბ-ნი კომუნისტები მოითხოვენ ერთხმად, რომ მათ დაუმტკიცონ დანაშაული და მოღალატეობა. ბევრი საბუთები მოგვეპოვება ამის დასამტკიცებლათ, მაგრამ არ იქნება უმნიშვნელო, თუ თვალს გადავავლებთ, ოდნავ მაინც, მათ ნამოქმედარს წარსულში.

ამ შემთხვევაში მე შევეხები მხოლოდ ორ მათგანს:

სანდრო ქჯაიას. და ს. ოჩიგავას, რომელიც 1918 წ. ლეჩხუმში სოლ. ხარებავათ იწოდებოდა. ესენი მოევლინენ ლეჩხუმის მაზრას მაშინ, როდესაც დაინახეს რომ წყალი ამღვრეული იყო. რა თქმა უნდა მოევლინენ ხალხს, მხსნელებათ.

ბ-ნი ოჩიგავა ს. ხარებავათ წოდებული იყო ლეჩხუმის რევოლიუციონური შტაბის უფროსი. ს. ქჯაია კი იყო მთელი ჯარების მთავარსარდალი. ის ბრძოლისთვის მოუწოდებდა ხალხს... ქუთაისის დასარბევად. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ოსმალეთი ბათომზე იყო მომდგარი. ქჯაია-ოჩიგავები ამ დროს უმტკიცებდნენ ხალხს: რომ „ბათომი ოსმალებისაა და მათ უნდა დარჩეს, ბათომის ქონება მხოლოდ ბურჟუებს უნდათო და სხვა".

ბოლშევიკების რევოლიუციონური შტაბი დასახვრეტი ხალხის სიებს ადგენდა ლეჩხუმში. დასახვრეტთა რიცხვი პირველად თუ 15—20 იყო, მალე 40 60 შეიქნა და გაიზარდა 120-დე. რომ გარემოებას არ შეეშალა ხელი კიდევაც მოიყვანდნენ სისრულეში... ერთი „განაჩენი" მაინც მოიყვანეს სისრულეში. შუა ქუჩაში, ცაგერში, შტაბის დადგენილებით დახვრიტეს ბ. ჩიქოვანი.

ამ დროს ფრონტიდან ვიყავი ჩამოსული. არ მაძლევდნენ მოსვენებას, შეიძლება იმიტომ, რომ მამაჩემი ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციის მდივანი იყო. ბევრჯერ გადამიწყვიტეს სიკვდილიც, ციხეშიაც მომათავსეს რამდენჯერმე ღამე გამჩხრიკეს.

ლეჩხუმის დაწყნარების შემდეგაც მე ჯარის-კაცათ ვიყავი. თფილისში ვნახე ს. ოჩიგავა, ცოტა ხნის შემდეგ გავიგე რომ ის ერთ-ერთ კომისარიატში მსახურობდა უფროს მილიციონერათ. ვიფიქრე: შეიძლება გასწორდა და უარი განაცხადა ძველ ზრახვებზეთქო, მაგრამ დღეს წინააღმდეგს ვხედავ.

არ ვიცი რად ბრძანდებოდა ქჯაია, მაგრამ იშოვა თუ არა გასწია ისევ იქ სადაც 1918 წ მათრახითა და მაუზერით ხელში მქუხარებდა.

ბევრი აპატია მათ ხალხმა. ბევრი შეუნდო, მაგრამ მაინც არ ისვენებენ.

გავიგოთ რომ მგლის თავზე სახარების კითხვა ამაოა. ის მაინც ტყისაკენ იყურება. ამისათვის სასურველია მთავრობა მიიღებდეს კომუნისტების თხოვნას და ყველას, ვისაც არ მოსწონს აქაური წყობილება და ებრძვის დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებობას გაგზავნიდეს საბჭოთა რუსეთში.

როდესაც ისინი თავიანთი თვალებით დაინახავენ ყოველივეს, რაც იქ არის და ხდება უმეტესი მათგანი „დეზინფექციაში" გატარებული დაუბრუნდება სამშობლოს. (ასეთი მაგალითებიც ბევრი გვაქვს) ესეც რომ არ იყოს ჩვენთვის უკეთესია მტერი საზღვარზე იყოს მომდგარი, ვინემ შიგნით, ჩვენს სამშობლოში გვყავდეს.

ჯარის-კაცი აკ. ხევსურიანი.

## მთავრობაში

ივლისის 27 სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

გადასცეს პოლონეთში გასაგზავნ საქართველოს მისიის საჭიროებისათვის ერთი მილიონი მანეთი.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი არსებულ პირდაპირ გადასახადის გადიდების შესახებ მოწონებულ იქნას.

დამტკიცდეს ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი სია ფუფუნების საგნებისა, რომელთა შემოტანა საზღვარგარეთიდან უნდა აიკრძალოს.

სამხედრო ფონდიდან აღედგინოს ზარალი კინტრიშის მაზრისა და ქედა-აჭარის მცხოვრებთ. ეს ზარალი 1 მილ. მანეთს უდრის.

სინტერების ჯამაგირების გადიდება მოხდეს იმავე წესით. როგორც ხდება მუშებისა და რესპუბლიკის ყველა მოსამსახურეების ჯამაგირების გადიდება.

## მთებში და უღელტეხილებში

**მგზავრის დღიურიდან.**

25 ივლისი, ადიგენში.

უთხის უბანში ახალი ძალების მიღებიდანვე გვარდიის ათასეული რამდენიმე დღეა, ადიგენშია დაბანაკებული დასასვენებლათ.

ხვალ დილით ადრე ისევ უკან უნდა წავიდეთ, ცენტრალურ მიმართულებით—ქვაბულიან-ჩაის ხეობით, ჩუმეხ-ნარიმბაშის მთისაკენ, წვანის მწვერვალისაკენ და „იაილა" დიდ-აჭარისაკენ. აღნიშნული ადგილები მტრის მიერ არის გამაგრებული. ჩვენ ადიგენში მდინარე ქვაბულიანის პირად ვიდექით „ბივაკებში" და ჩვეულებრივ საველე ცხოვრებას ვეწეოდით.

დღე ბოლო ხანებში მოწმენდილი იყო, მხოლოდ ღამე ცივა და ნისლით დაბურული. ჯარების მოვლილობამ ხალხში შიში გამოიწვია და ადგილობრივი მცხოვრებნი გვეკითხებოდენ: ჩვენ ხომ არაფერი მოგველისო.

საღამოს მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდიელების კრება გაიმართა. ამხ. გ. ფლოვავამ, რომელიც სხვა ადგილებიდან დაბრუნდა, მოკლე მოხსენება გააკეთა უკანასკნელ ამბების შესახებ. უამბო გვარდიელებს აძერბეიჯანის ფრონტის ამბები...

გვარდიელები მხიარულად დაიშალენ. ყველა მოუთმენლათ ელოდა ადრე გათენებას და გამგზავრებას. ღამე მშვიდი და მეტად ბნელი იყო.

26 ივნისი.

### კეხოვანის მთისაკენ.

დილა ადრიანათ გავედით. დღე მოწმენდილია. რამოდენიმე წამში სოფელ მლაშეში შევედით. ეს პატარა სოფელი მარჯვნივ მდებარეობს გორებში და მასთან მოშორებით, ვერს ნახევარზე ზევით არის მინერალური წყარო—რკინის წყალი, რომლითაც სოფლელები სარგებლობენ. 7 საათზე მარცხნივ დავტოვეთ ზარზმა და შევუდექით ქვაბულიან-ჩაის ხეობის ვიწრო გზას. გზას მარცხნით მისდევს მდინარე—იქით-აქეთ მაღალი ქედები. ხშირი ნაძვის ტყეებით მოქარგული. ეს ხეობა არ ჩამოგავს კავკასიის მთების ხეობებს; მშვიდი, წყნარი, მიმზიდველი ბუნება, მთის ფერდებზე და მდინარის პირად პატარ-პატარა სოფლები, მთის „იაილებით“.

მთავარ გზატკეცილიდან ხეობის გზაზე ორი ვერსტით მდებარეობს საირმე, სადაც რამოდენიმე მოსახლე მუსლიმანი ცხოვრობს, მარცხნიდან თავს დაცქერის სანაურიას ქედი.

ჩვენ ცხრა საათამდე უკვე გავიარეთ სოფ. ჩეჩლია, ლამაზი ხეობების ნაწილი. რამდენი წინ მივიწევდით, გზა ვიწროვდე ოდა და ზევით იწევდა. ძალიან უძნელდებოდა ცხენებს ტყვიისმფრქვეველთა ატანა, ურმების, სახოვაგის და საერთოდ საბარგულების წაღება უმთავრესად გვარდიელებს უხდებოდათ.

ჩეჩლიაში გზა იყოფა, ერთი მიდის კეხოვანისაკენ მარცხნივ, მეორე მარჯვნივ დერცელისაკენ.

სოფელ კეხოვანი მდებარეობს მთაში, ხეობის ფერდებზე. მარცხნივ მაღალი ტყიანი ქედები დასცქერიან, მარჯვნივ ტიტველი გორები. დერცელი, რომელიც დაშორებულია ჩეჩლიადან 7 ვერსით, მდებარეობს მდ. ქობულინის პირად მუბში. ხეობის, ესე იგი, მესხეთის საზღვარი თავდება კობის ჯვარის უღელტეხილთან და ჩუბუხ-ნარიმ-ბაშის მთასთან. საზღვრებთან მუბში სულყველგან „იაილებია“, სადაც ზაფხულობით მესხეთის და აჭარის ხალხი ცხოვრობს.

ქვაბულინის ხეობაში სულ 16 პატარა სოფელია. თითო სოფელი 12 კომლიდან 43-ს არ აღემატება. სულყველა გამაჰმადიანებული ქართველი მუსლიმანებია, მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას.

ეს ხეობა განთქმული იყო ყაჩაღობით. ახალციხის ამბებშიც დიდი როლი ითამაშა ჩვენს წინააღმდეგ აქაურმა მცხოვრებლებმა და ბევრი ხაბარცვი შეხიდეს ხეობაში.

მთელ ხეობაში ერთი სკოლაც არაა. ამ ჟამად სიწყნარეა და გვარდიის მსვლელობასაც თავისებურ დასკვნებს უკეთებდხენ სოფლელები.

გახწყობილება მათ და საზღვარზე მცხოვრებ აჭარელთა შორის კარგი არაა. ეს გამომდინარეობს არა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განწყობილებიდან, არამედ—საძოვარი ადგილების განაწილების გამო. მათშორის ძველათაც ქიშპობა და მტრობა იყო, ამ ხანად კი მთებში დიდი ძარცვა-გლეჯა მეფობს. სოფელ კეხოვანში პირველის ნახევარზე შევედით. ძალლი ღ უხეირო გზებზე გვარდიელებმა აიღოთრიეს მძიმე საომარი მასალები და საჭირო ურმები, სამზარეულოები. კეხოვანში სოფლელები შემოგვეგებენ. აღსანიშნავია, რომ ჯარის გაიოჩენაზე პატარა ბავშვები ტირილით გარბოდნენ. ქალები კი ჩვეულებრივათ, როგორც ეს შემოღებულია სამუსულმანო საქართველოში, არ მოსჩანდნენ. პატარა მინდორში დავისვენეთ. დაღლილთ საამური ცივი მთის ჰაერი გვეამბორებოდა. ჩვენსა და სოფლელებს შორის საუბარი გაიმართა.

— როგორ სცხოვრობთ?—შევეკითხე.

— სიწყნარეა ბატონო, მხოლოდ ყაჩაღები არ გვასვენებენ,—მიპასუხა მოხუცმა.

— როგორ?

— მთებში იტაცებენ საქონლებს, ჩვენ იქ აღარ გვაყენებენ და ცუდ პირობებში ვართ. მთები მათ უჭერიათ და იძახიან, ადრე თქვენც ჩვენ მხარეზე უნდა გადმოხვიდეთო.

— წინათ როგორ ცხოვრობდით?

— ეს ოთხი წელიწადია აღარ მოგვისვენია. ოსმალეთის დროს სულ ყველაფერი წაგვართვეს: ხარები, ძროხები, ცხენები, პური, ქერი და ჯარშიც წაგვიყვანეს. შემდეგ სერვერ ბეგმაც ეს დღე დაგვაყენა.

— სერვერ-ბეგი სად არის ახლა?

— არ ვიცი...

— არა, იცით... ჩვენ ხომ ვიცით...

— არა ღმერთმანი, მხოლოდ ამბობენ, რომ ჯარებს აგროვებს სათათრეთში და აქეთ მოდისო. სხვა არაფერი ვიცით.

— აქეთ რას ფიქრობენ სერვერ ბეგის შესახებ.

— არაფერს, ბატონო!

— როგორ არაფერს! აკი მან წერილი მოგწერათ და კაცი გამოგიგზავნათ. რა პასუხი გაეცით?!.

— ეგ წინეთ იყო, მერე აღარაფერი ვიცით.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეხლა როგორ ცხოვრობთ?—შევეკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

— ეს მეორე წელიწადია მყუდროდ, მხოლოდ ეხლა კი გვეშინია.

— რის?

— არ ვიცით, გვეშინია თქვენი ჯარების.

მე მივუთითე იმაზე, თუ როგორ კარგათ იქცევა მთელ მხარეში ჩვენი მხედრობა.

— კი გვწამს და მადლობელი ვართ საქართველოს მთავრობის—მიპასუხეს.

— მოსავალი როგორია თქვენში?

— მოსავალი ცუდი იყო, ეხლა პურიქერი აღარაა, მხოლოდ ახალს კარგი პირი უჩანს, თუ მოგვეხმარეს.

მათი ნალაპარაკევიდან, მაინც ეჭვები გამოდიოდა, მაინც გაურკვევლობა იყო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვაბულიან-ჩაის მცხოვრებნი და განსაკუთრებით დერცელ-ჩეჩლია-კოხოენის მუსლიმანები, სრულიად განსხვავდებიან ფოცხოვის, ადიგენის, უსველის, აწყვერის და ხერთვისის რაიონების მუსლიმანებისაგან. აღნიშნულ რაიონებში ქართული თითქმის არ იციან, აქ კი ქართულათ ლაპარაკობენ, თუმცა უფრო მოშორებით უდაბურ მთებში ცხოვრობენ. გარეგანი გამომეტყველება, სახე, ყოფა-ქცევა, სრულიად აჭარელ-გურულების აქვთ. გვარებიც შენახულია: მახარაძე, შავაძე, გელაშვილი და სხვა. ერთი სიტყვით აქ სულ სხვა სურათია.

სამი საათის დასვენების შემდეგ ჩვენ კეხოვანის მარცხნივ მაღალ გორაზე ავედით. სწრაფი მუშაობის შემდეგ ჩვენმა მხედრებმა ჩქარა გამართეს საველე კარვები და სამხედრო საქმიანობაც გაგრძელდა. ჩვენ „ძივაკებს“ თავს მაღლიდან ნაძვნარი ქედი დასცქეროდა. რადგანაც მტრის პოზიციებთან უკვე ახლოს ვიყავით, მოწინავე სადარაჯოებმა წინ წაიწიეს. საღამო მოღრუბლული ჩამოდგა. ჯარმა იმატა და ძალიანი სიცივე იყო. დაღლილი გვარდიელები მიწვენ დასასვენებლათ. მოწინააღმდეგეთა პოზიციებიდან სამიოდე თოფის ხმა გაისმა და შეჩერდა... ღამე პირველად მშვიდი იყო. შემდეგ წვიმდა და ნიაღვარი მოდიოდა...

**ობოლი მგზავრი.**

გოდერძის მიმართულებით ბრძოლაში დაიღუპნენ: 1 ივნისს მოჰკლეს გოდერძის უღელტეხილზე: მესხეთ-ჯავახეთის გვარდიის უფროსი პოლ. ვასილ მაქსიმოვი.

ხულოში: 1) კაპ. შალიკო ხოხაშვილი, ტყ.-იფრ. რაზმის უფროსი; 2) კაპ. არისტო გამცემლიძე. ჯარისკაცები: 3) გიორგი ყანჯარაშვილი (თფ. მაზრის სოფ. გიორგიწმინდის მცხოვრები); 4) შავადი აკოფაშვილი (ქუთაისიდან); 5) ნიკოლოზ გოგიძე (თფილ. მაზრიდან); 6) გიორგი ტერ-ოპანეზოვი (ახალქალაქის მაზრიდან); 7) გიორგი ბიჯოიანი (ჯავახეთიდან); 8) იოსებ ბეგდარაშვილი (ბორჩალოდან). დასჭრეს 9 გვარდიელი და ჯარისკაცი, 2 ოფიცერი (ერთი გვარდიის) და 4 გვარდიელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

1 ივლისს მოჰკლეს ჩუბუხ-ნარიმ-ბაშის მთებში: 1) ლეიტ. შალიკო გიგინეიშვილი, ტყვიისმფრ. რაზმის უფროსი (გურიიდან); 2) სოლომონ თედ. კეჭაყმაძე (გურიიდან—ნიგოითი); რაქდენ ალექ. გაიუნია (სენაკის მაზრიდან). დასჭრეს ამ დღეს 2 მესხეთელი გვარდიელი.

## ამხ. ხუნდაძის მოხსენებანი დას. საქართველოში

ხაშურის და ფოთის შემდეგ ამხ. გ. ხუნდაძემ მოხსენება გააკეთა 15 ივლისს ქ. ახალ სენაკში.

ადგილობრივი თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. იმ დღეს ფრონტიდან გვარდიელებიც დაბრუნდენ და მოხსენებას ზოგიერთი მთავრობის დაესწრო. მოხსენებამ გამოიწვია აუარებელი შეკითხვები. პასუხით ხალხი კმაყოფილი დარჩა.

მეორე დღეს, 16 ივლისს, მოწვეული იყო კრება აბაშაში, რომელსაც დღის 12 საათზე სოფლებიდან ჩამოსული გლეხებიც დაესწრნენ. კრება შესდგა სადგურის ახლო, ეზოში. დაესწრნენ მოკომუნისტო პირებიც. აქაც კრება კმაყოფილი დარჩა შთაბეჭდილებით დაიშალა.

შემდეგი კრება შესდგა 17 ივლისს სამტრედიის რკინის გზის კლუბში. მოხსენების შემდეგ გამოვიდა საკამათოდ ვინმე ექიმი ციციაძე, რომლის აზრი და შინაარსი კრებამ ვერ გაიგო და მისი სიტყვებიც უყურადღებოთ დასტოვა.

18 ივლისს დანიშნული იყო კრება ბანძაში, მაგრამ ცუდი ამინდის გამო არ შესდგა, ვინაიდან კრებისთვის შესაფერი შენობა არ აღმოჩნდა.

19 ივლისს შესდგა კრება ქუთაისის რკ. გზის თეატრში. მიუხედავათ იმისა, რომ განცხადებები გვიან იყო გაკრული, ხალხი ბლომად შეიკრიბა. 20 ივლისს მოხსენება გაკეთებული იქნა ქუთაისის პროფ. კლუბ „ინტერნაციონალში“. მომხსენებელს აძლევდენ აუარებელ შეკითხვებს.

21 ივლისს საღამოს მოწვეული იყო კრება-მიტინგი დიდ ეზოში ქ. ყვირილაში. აქაც ხალხი ბლომად დაესწრო. 22 ივლისს კი—ქ. ჭიათურაში. ჭიათურაში პირველად კეთდება მოხსენება რუსეთის შესახებ. ხალხი დიდი ინტერესით მოეკიდა, რადგანაც რუსეთიდან დაბრუნებულ ჩვენს არც ერთ ამხანაგს ჭიათურაში მოხსენება არ გაუკეთებია. ამხ. ხუნდაძე პირველი მომხსენებელი იყო. 25 ივლისს უკანასკნელი მოხსენება გაკეთებულ იქნა ს. შორაპანში, მოხსენებას რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები დაესწრნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ხუნდაძე 25 წლის განმავლობაში რუსეთში მუშაობდა და კარგადაც იცნობს იქაურ პირობებს. ამას გარდა ის დამოუკიდებელი სოც. დემოკრატია, არ არის გატაცებული ფრაქციული პატრიოტიზმით და ამიტომ მოხსენება ობიექტიური გამოდის. თავის მოხსენებას ამყარებს ბოლშევიკების ნაწერებზე, მათ გამოკვლევების სტატისტიკაზე, მოჰყავს დაიახასიათებელი ფაქტები. ისეთი ფაქტები, რომ მსმენელს ჟრუანტელი უვლის ტანში. საბუთებით ხელში ამტკიცებს, რომ რუსეთში არა თუ სოციალიზმის ნასახი, არამედ—არ არსებობს საბჭოთა მართველობა, არ არის დიქტატურა გლეხის და მუშის, როგორც საქართველოში...

**გალო ხელიძე.**

## შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი გორის მაზრაში

ოთხშაბათს, 28 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი, კანცელარიის დირექტორი ს. პ. გეგელაშვილის და რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის თან. ივ. ე. ქარცივაძის თანხლებით გაემგზავრა გორის მაზრაში და გორში. სადგურზე მათ შეხვდნენ სამაზრო ერობის, ქალაქის თვითმართველობის და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ხსენებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ადგილობრივ საქმეზე მოკლე თათბირის შემდეგ, მინისტრი იმავე დღეს გაემგზავრა ცხინვალში. აქ მას შეხვდნენ ადგილობრივი თემის, გვარდიის, ჯარის და სხვათა წარმომადგენლები. ცხინვალის მთავარ ქუჩაზე ჩამწკრივებულნი იყვნენ სანაპირო რაზმის ჯარის-კაცები. მინისტრი რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიესალმა ჯარის-კაცებს და უსურვა მხნეობა და თავდადება მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის საკეთილდღეოთ. მის სიტყვებს ჯარისკაცებმა ხანგრძლივი „ვაშა“-თი შეხვდნენ. ამის შემდეგ მთავრობის მთავარრწმუნებულ, დამფ. კრების წევრ ლ. ქულუხთან გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ რაზმის უფროსი, სახალხო გვარდიის, საველე შტაბის, მაზრისა და ადგილობრივი ერობის წარმომადგენლები. მინისტრი დაწვრილებით გაეცნო ამ კუთხის მდგომარეობას ოსების, აჯანყების შემდეგ. როგორც გამოირკვა მშვიდობიანობა უკვე დამკვიდრებულა, თუ არ მივიღებთ სახეში იმას, რომ ხანდისხან ჩვენს ჯარისკაცებს ესვრიან მთებში ზოგიერთი მიმალული მეამბოხეები. დიდი ნაწილი იმ ადგილებისა, რომლებიც მეამბოხეებმა მიატოვეს და გაიქცხენ, უკვე დაუსახლებიათ სხვა კუთხიდან გადმოსულ ქართველებით. გადმოსახლება უკვე გრძელდება და ამ მოკლე ხანში სრულიად დამთავრდება. მინისტრმა ფიცხელი განკარგულება გასცა, რათა არავითარ ძალადობას, ან რაიმე სხვა უკანონობას, ადგილი არ ჰქონდეს არავისადმი, ვინც გინდა იყოს იგი და რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდესო. ყველა ისინი, ვინც ასეთ რამეს ჩაიდენს, პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული და სასტიკათ დასჯილი. წამოსვლისას მინისტრს მოედანზე შეხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებსაც მინისტრმა მოკლე სიტყვით მიმართა: „იმ ამბების შემდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ და რომელთა მოწმენი თქვენ გახდით,—განაცხადა მინისტრმა, ალბათ ყველამ დაინახა, თუ რაოდენი სისასტიკით და სიმკაცრით იბრძვის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ, წინააღმდეგ ყველა იმათი, რომლებიც ლამობენ მის (რესპუბლიკის) ამბოხებით, შიგნით აფეთქებით მოსპობას. ჩვენი რესპუბლიკა იმიტომ არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომ იგი ერთნაირად იცავს ყველა თავისი მოქალაქის, განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოებისა, ინტერესებს. მაგრამ ამავე დროს იგი ერთნაირად დასჯის ყველას, ვინც მოისურვებს და მოისდომებს აჯანყებებით და შინაური ომის საშუალებით სისხლში ჩახრჩობას მშრომელი ხალხის მიერ შექმნილ რესპუბლიკის. მე იმედს გამოვსთქვამ, რომ ამის შემდეგ არავითარ ასეთ სამწუხარო მოვლენას ადგილი არ ექნება და მთავრობა თქვენთან ერთად მოახერხებს სამუდამოდ მშვიდობიანობისა და წესრიგის დამკვიდრებას, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას განვითარდეს და სათანადოთ მოემზადოს უკეთესი მერმისისათვის.“ მინისტრის სიტყვებს ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა და მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ მინისტრი გამოემგზავრა გორში. 29 ივლისს დილით მინისტრი ისევ თფილისს დაბრუნდა.

**№№**

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 29 ივლისს, ს. ს. დ. მ. პ. მე 3 რაიონის თეთრი გორის უბნის (ბელგორკის) ქვეკოლექტივის ინიციატორობით შესდგა საზოგადო კრება, როგორც პარტიის წევრებისა, აგრეთვე თანამოაზრეებისა (მე 7 და 8 სამილიციო უბნისა). კრებაზე ფართოთ მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. ბ. თევზაიამ, ფრიად საყურადღებო და საინტერესო კითხვებზე: 1) დღევანდელ მომენტზე (საქართველოს, სომხეთის, რუსეთის, და ადერბეიჯანის მდგომარეობა) და 2) მიწების დამუშავებაზე. საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება, ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა საზოგადო კრებამ დამფუძნებელი კრების წევრის ამხ. ბიქტორ თევზაიას მოხსენება, უსურვებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას გამარჯვებას და აყვავებას,ამასთან ერთად უწონებს გადადგმულ ნაბიჯებს მის მთავრობას და ფიცსა სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლოს მასთან ერთად, როგორც გარეშე მტრის, აგრეთვე შინაურ მოწინააღმდეგეებს.

**ხარდ. მეტრეველი.**

**თფილისი.** ხუთშაბათს, 29 ივლისს შესდგა მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) ამ. ივ. ომანიძის დახმარება, 3) მოსამსახურის ლიკვიდაციის მოხდენა და 4) დახმარება სომხურ გაზეთს „ბანვორი ძაინს“.

მოსმენილ იქნა კომიტეტიდან მოხსენება. მეორე საკითხის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: შეუერთდეს ცეკას დადგენილებას. მესამე საკითხი—ამხ. ომანიძეს აღმოუჩინოს დახმარება სამი ათასი მანეთით და თან გაიმართოს ხელის-მოწერა, რაც დაევალა რამდენიმე ამხანაგს. მეოთხე საკითხი—მიეცეს მოსამსახურეს სალიკვიდაციო კომისიის განსაზღვრის მიხედვით. მეხუთე—აღმოეჩინოს ერთდროული დახმარება სომხურ გაზეთს ხუთი ათასი მანეთით. რამდენიმე განცხადების მოსმენის შემდეგ კრება დაიხურა.

**დამხწრე.**

## მუშათა შორის

**საზოგადოების საყურადღებოთ.**

ამით მუშათა ცენტრალური კლუბის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვიღაც შანტაჟისტები ბოროტად სარგებლობენ ხსენებული კლუბის სახელით და ყიდიან ხელზე სათეატრო ბილეთებს ძალზე გადიდებულ ფასებში ვითომც და ხუთ აგვისტოსათვის განზრახულ წარმოდგენაზე დასასწრებლათ.

კლუბის გამგეობა ვალათ რაცხს თავს აუწყოს საზოგადოებას, რომ ხუთ აგვისტოსთვის ჯერ არავისათვის არ დაგვითმია არც კლუბის დარბაზი და არც ბაღი, რომ ხუთ აგვისტოსათვის წინასწარ არავითარი პროგრამა არ შეგვიმუშავებია და თუ ვინმე ჰყიდის ამ დღისათვის ბილეთებს, ის შეგნებულათ ჩადის ბოროტებას. ხელზე ბილეთების გაყიდვა კერძო პირთათვის აღკრძალულია, თუ მათ არ აქვთ სათანადო მოწმობა პიროვნების ხაზინადარის ან გამგეობის რომელიმე წევრის ხელის მოწერით; ხელზე ბილეთების გაყიდვის უფლება აქვთ მხოლოდ პროფესიონალურ კავშირების და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელთ, თუ ისინი სდგამენ წარმოდგენას ან აწყობენ საღამოს.

**გამგეობის მდივანი.**

**ხელზე მოსამსახურეთა კავშირი.** სწორედ უბედურ დღესაა გაჩენილი ეს კავშირი. არ იქნა და არ ეშველა საქმის მოწესრიგებას. მწარმოებლები არ იყვანენ კავშირის წევრებს სამუშაოდ. არ იქნა ვერ ვეღირსეთ ისეთ კანონს, რომ მწარმოებლებისთვის სავალდებულო გახადათ კავშირის თანხმობით მუშების აყვანა. არსებობს 1918 წლის კანონი, მაგრამ იმისი დამრღვევნი პასუხს არ აგებენ სასამართლოს წინაშე, მაგალითები აუარებელია. ამ სამი თვის წინათ, დაშნაკელებმა გახსნეს კაფე უნიონი, მოსამსახურეები კავშირის დაუკითხავად მიიღეს. ჩვენ ეს შრომის კომისარს შევატყობინეთ. კომისარმა თავის მხრით პასუხისგებაში მისცა კანონის დამრღვევნი, მაგრამ, როგორც ვიცით, ჯერ მათთვის პასუხი არავის მოუთხოვია. საკვირველია, ნუ თუ სამი თვის განმავლობაში აღარ შეიძლებოდა სასამართლოს დანიშვნა? ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შრომის კომისარმა ასე მონდობილათ დაიწყო ეს საქმე. ჩვენ ვფიქრობდით, რომ კანონის დამრღვევნი დაისჯებიან და ეს გავლენას იქონიებს სხვა მწარმოებლებზე-თქო, მაგრამ ჩვენი იმედები არ გამართლდა. საჭირო კია არსებულ კანონებს ემორჩილებოდეს ყველა მოქალაქენი, როგორც მუშები, ისე მწარმოებლები. ჩვენ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ შრომის კომისარს როგორმე დააჩქარებიოს მომრიგებელ მოსამართლეს კაფე „უნიონის“ საქმე, რომ ამით აგრძობიოს მწარმოებლებს კანონი და მისი ძალა.

**გ. ბომბოთელი.**

კლუბების, რესტორნების, სასტუმროების და სხვ. მოსამსახურეების პროფ. კავშირის 22 ივლისის საღამოზედ, რომელიც მუშათა კლუბში იყო გამართული კავშირის ფონდის გასაძლიერებლათ, შემოსავალი იყო: 108,315 მ., გასავალი 25,080 მ., დარჩა 83,235 მ.

გამგეობა დიდ მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო საღამოში.

**გამგ. თავმჯდ. ვარ. ბიბილეიშვილი.**

## პროვინცია

**ს. უჯარმა,** (გარე კახეთი.) ს. უჯარმა მდებარეობს თფილის-თელავის გზატკეცილზედ თფილისიდან მე-40 ვერსზედ; აქ ას კომლამდე ქართველი მოსახლეობაა. ეს სოფელი ქონებრივათ შედარებით სხვა სოფლებთან ჩამორჩენილია. აქ არავითარი დაწესებულება არ მოქმედობს გარდა ერთად-ერთ მომხმარებელ საზოგადოებისა; იმასაც გულშემატკივარი არავინა ჰყავს და ამისათვის სალათას ძილს მისცემია. სოფელი, აქ ხშირად ხდება უბედური შემთხვევები და კაცის თვით გასამართლებაც კი: წარსულ წელიწადში აქაურმა მცხოვრებმა მოკლა თოფით თავისი ცოლი. ეს მოხდა საჯაროთ ზოგიერთი პირების რჩევით და გადაწყვეტით; ამ დღეებში აქაურმა დ. ტარიელაშვილმა ხანჯლით მოკლა თავის რძალი. ეს ორივე დამნაშავე პირები კი სასჯელ მოუხდელები დაბრძანდებიან. შეიძლება მთავრობამ არც ეს კი იცოდეს. საჭიროა ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს. **ნ. ბ.**

**შუა-არაგვის** პირის თემის ხმოსანთა ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვ. კალანდარიშვილისა ბათომის და მის ოლქის საქართველოზე გადმოცემის შესახებ, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ჩვენი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სვლი და სამართლიანი, მიზანშეწონილი მუშაობით, ბათომი შემოუერთდა საქართველოს. აღფრთოვანებით მივესალმებით მთავრობას, დამფუძნებელ კრებას და ყოველგვარ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მთელი ჩვენი შეძლებით დავუჭერთ მხარს.

ყრილობის თავმჯდომარე **შუშიაშვილი.**

**ხიდისთავი** (გურია). ხიდისთავის თემს აქვს სასამართლო ნაგომარში. გავიგეთ, რომ სასამართლო დრო-გამოშვებით ჯივლის ხიდისთავში, დაგროვილ საქმეებს გაარჩევს და ისევ უკან გაბრუნდებაო. 10 ივლისს ესტუმრა კიდევც ხიდის თავს ნაგომარის მომრიგებელ მოსამართლე ვლ. ხაფთასი. მან ერთი კვირის განმავლობაში მოათავა ყველა საქმეები, რითაც მთელი თემი კმაყოფილი დარჩა, საჭიროა მისი სისტემატიურათ სიარული და აქ კი მისთვის შეწყობა.

წიფნაგვარა-პაიჭესოულის სოფლემა კერძო ცნობებიდან გაიგო, რომ ბ. აკაკი ივანესძე სფანი-შვილს აღუთქვამს ხიდისთავიდან ერთი ვერსის სიშორეზე მდინარე კალაშაზე „ქვიტკირის ხიდის“ გაკეთება. ამ ხიდის გაკეთებას იმ მხრითაც ექნება მნიშვნელობა, რომ ის არის ბახმაროს გზაზე და აერთებს ერკეთის და ხევის თემებს მთელ მაზრასთან.

რეკვიზიციით სიმინდი დაგროვდა 80 ფუთამდე, სიმინდი ეს წვეთია ზღვაში.

**ი. ლ.**

**მუხრანი** (დუშეთის მაზრა). მუხრანი საუკეთესო კუთხეა დუშეთის მაზრაში. იცის უხვი მოსავალი ღვინის და პურისა. არსებობს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებანი: თემი, ფოსტა-ტელეგრაფი, პირველ-დაწყებითი და უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებლები (უკანასკნელი ენკენისთვიდან დაიწყებს მუშაობას). ხალხი არ ერიდება არავითარ ხარჯებს, თუ კი გადასახადები კანონიერათაა გაწერილი, ხმარდება თავის დანიშნულებას. ჩვენდა სამწუხაროთ, ზოგიერთი მოხელენი პირნათლათ ვერ ასრულებდნენ თავიანთ დაკისრებულ მოვალეობებს, ხალხში გაისმოდა საყვედურები: „ტყავი გვძვრება, გვახდევინებენ, და არ ვიცით რაში იხარჯებაო“. მუხრანის თემის გამგეობამ, სამაზრო თემების ინსტრუქტორის ვარლამ კალანდარიშვილის დაიადასწრებით, აღმოაჩინა ერთი დიდი ბოროტმოქმედება: ყოფილ თემის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელს გიგო ძაგანიას, რომელსაც ებარა თემი და მისი საწყობი, გაეფლანგა 102,000 მანეთი. დაკითხვის დროს გ. ძაგანიამ უარი განაცხადა: „არც ფული მაქვს და არც საწყობში საქონელიო“, მაგრამ მეორე დღეს სახლის გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა სახლში მოპარული და დამალული ფარჩა 50 არშინამდე, შაქარი, სამი ვინტოვკის სისტემის თოფი და სხვა. გ. ძაგანია-დატყვევებულ იქნა, და შესაფერი ოქმებით გადაეცა სასამართლოს. თემის გამგეობამ აგრეთვე დაატყვევა გიორგი მესროფოვი, რომელმაც მიიღო 6,000 მ. ფული სასკოლო კომისიიდან, სკოლა არ შეაკეთა და გაიპარა. ასეთი მატყუარა ელემენტების მოქმედებას დროა, ბოლო მოეღოს, და თვით ხალხმა უნდა ალაგმოს ესენი ერთხელ და სამუდამოთ.

დიდი მადლობის ღირსია ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრე, რომელმაც თავის შრომით მიუძღვნა დროში სახალხო გვარდიას და ეხმარება ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებს, გვარდიელთა კოოპერატივს, სამკითხველოს და სხვებს. გზები სადგურ ქსნიდან მუხრანამდის ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ ეხლა მიღებულია ზომა თემის მიერ, და ბეგარის წესით ადრე შეკეთდეს.

**მიხელიშვილი.**

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე-150 ნომერში მოთავსებული იყო შემდეგი:

„სვირის მილიციის უფროსმა შეიპყრო ორი ღვინის ვაჭარი ჯლამაძე სიმონ ნიკოს ძე და ტაბიძე სტეფანე ალექსისძე, რომელთაც აღმოაჩნდათ 90,000 მანეთი ყალბი 1000 მანეთიანები. დაჭერილები და ფული წარედგინა ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსს“.

მართალია, ჩვენ სვირის მილიციამ ფული ჩამოგვართვა და წაგვარდგინა ქუთაისის ერობის სამმართველოში, მაგრამ ფულები აღმოჩნდა სრულიად საღი და მასში არც ერთი ყალბი არ ყოფილა, რის შემდეგაც ჩვენ მაშინვე ფულები დაგვიბრუნეს და გაგვანთავისუფლეს.

**სიმონ ჯლამაძე, ს. ტაბიძე**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

1 აგვისტოს 1920 წ. დემოკრატიულ კლუბ „მუშტაიდში“ შესდგება თფილისის ქართულ სცენაზე მომუშავეთა სცენის მოყვარეთა

### საზოგადო კრება

კავშირის წესდების დასამტკიცებლად. კავშირის დამფუძნებელი კომისია. (უ. 2—2)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის საჯ ხედრო. გეითალი—ექიმი

### ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

### სიღნაღის სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბისათვის

# საჭიროა

გამოცდილი მწერალი, რომელმაც კარგათ უნდა იცოდეს ქართული და რუსული ენები. პირობების გაგება შეიძლება ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ, № 59, შაქრო გოგიაშვილთან. ან ორნევის შესახვევში № 2, კირილილე ჩერევაჩთან 2 საათიდან 5 საათამდე. (2506—1—1)

სამხედრო სამინისტროს სტამბას

### ესაჭიროება

სახელოსნოების და ეზოს დამსუფთავებელი, მსურველს გარდა ჯამაგირისა მიეცემა ბინა განათებით. ლორისმელიქოვის ქ. № 3. (2489 3—2)

### სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

### მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი

### ე. ი. კალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი

### პ. გ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელი**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი

### გ. გ. მებრაზიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჰლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

### ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914, ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ცისტოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **მ. ა. შაჰრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ... ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

უ. სრულ-უფლებიან გიმნაზიის გამგე მათემატიკის

### მასწავლებელი

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1

ექიმი

გენრის ისაის ძე **ვოლფი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

### გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

ხოლდომონ ისაიას ძე **ვოლფი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)